

345

1919

3

7004

ბიბლიო-სიბილი

XXIX—XXV

საქართველოს  
საბავშვო ბიბლიოთეკა

# საქართველო





# შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილი“.

I	„განცვიფრება“ სურათი . . . . .	2
II	ზამთარი ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	3
III	ორი ლოკოკინა . . . . .	4
IV	საფრთხე (ფრანგულიდან) ტასოსი. . . . .	5
V	ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა თარგმანი ტასოსი . . . . .	8

VI	ცუგო და ფისო ლექსი შიო მღვიმელისა. . . . .	19
VII	გაკვეთილს ესწავლობდით ანასტასია წერეთლისა . . . . .	21
VIII	ტანტალი ბერძნული მითელოგიიდან ალ. ფალავასი. . . . .	28
IX	პელოპის ბერძნული მითელოგიიდან მისივე . . . . .	30
X	მზეთ უნახავი სამ მოქმედებიანი პიესა ვ. გუნიასი. . . . .	32

XI	თეატრი მასწავლებელია არტ. გედევანიშვილის გარდაცვალების გამო გ. თუმ—ლისა. . . . .	38
XII	კაპიტანი იანვარი (დასასრული) ნ. შარაშიძისა . . . . .	40
XIII	ზღვის ფრინველები ილ. ალხაზიშვილისა. . . . .	50
XIV	სპარტაკი (შემდეგი იქნება) დ. კასრაძისა. . . . .	55
XV	ჩვენი დედამიწა (გაგრძელება) ელ. ჭიჭინაძისა . . . . .	60

## შ უ რ ნ ა ლ ი

# „ჯეჯილი“

### 1919 წელს


ძნელი პირობების გამო ხელის მომწერლებმა დაპირებისამებრ სრულათ ვერ მიიღეს, რედაქცია ამ 1919 წ. განაგრძობს ჟურნალის გამოცემას და შეაერთებს 1918 და 1919 წ. ნომრებს.

ჟურნალის ახალი ხელის მომწერლები მიიღებენ 1918 წ. 6 ნომერს და შემდეგ გამოცემული 1919 წ. იანვრიდან 6 ნომრებს.

F 10193

3247

1950




# საქართველო ნახატებიანი შურნალი

345 / 12  
1919

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო  
ი. დ.



წელიწადი ოცდამეცხრე  
და  
ოცდამეათე



თბილისი

საქართველოს რკინის გზის ტიპო-ლიტოგრაფია



განცვიფრება.


# ჯ ა მ თ ა რ ი .



მაწვილებო! ერთი ნახეთ  
რა თეთრია დღეის დილა;  
სჩანს ზამთარი აღარ  
სუძრობს,  
სჩანს წუსეღვე დათოვ-  
ლილა!

აბა, ჩქარა, გაიღვიძეთ,  
გახსილეთ უველამ ოვალი,  
რომ არავინ არ დაგასწროთ  
პირველ თოვლში კოტ-  
რიალი!

გ. ქუჩიშვილი.



# ორი ლოკოკინა.



რთმა კაცმა ნახა ორი ლოკოკინა და შეიყვანა თავის ბაღხაში. ერთი ლოკოკინა უფრო ღონიერი, მოჯობინებული იყო, მეორე კი სუსტი, მიღეული, ძლივს დაცოცავდა, ეტეობოდა რომ ავად იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც კაცი ისევ შევიდა ბაღხაში, იქ დაუხვდა მხოლოდ

ავადმყოფი ლოკოკინა. ღონიერი, მოჯობინებული ლოკოკინა კი დატოვებულ ლორწოიან კვალზე ეტეობოდა, რომ კედელზე აცოცებულყო და ღობით გადასულიყო მესობელ დიდ ბაღში, სადაც ბლომით მწვანე ბალახი და ჩრდილი იყო.

მეორე დღეს კაცი რომ ბაღხაში შევიდა, საშინლათ გაუკვირდა. ორივე ლოკოკინები იქ დაუხვდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი გადავიდნენ ღობეს და თვლიდან გაჭქნენ. თითქოს ლოკოკინა დაბრუნებულიყო თავის ავადმყოფი მეგობრის წასაყვანათ უფრო დიდ და კარგ ბაღში.



# ს ა ზ რ თ ხ ე .

(ფრანგულიდან)



ეფე ნაბისანი აზიაში საუკეთესო მეფეთ ითვლებოდა. ვინც კი მეფეს დაელაპარაკებოდა აღტაცებაში მოდიოდა.

ამ სათნო და კეთილ მეფეს ზირში ეველანი აქებდენ, მაგრამ ყოველი მისი მოხელე უფროსიდან დაწვებული უკანასკნელამდე მის საზინას სცარცავდა. მეფე განუწვევებლივ სცვლიდა მოლარეებს, მაგრამ საქმე მანც ვერ მოეწეო უკეთესათ.

ბოლოს მეფემ მოიხმო ვეზირთა ვეზირი, ზადიქი, და თავისი ნაღველი გაუზიარა.

— თქვენ ისეთი ნასწავლი ხართ, რომ ეველაფერი იცით. მიხვენეთ ისეთი საშუალება, რომ მოლარემ არ გამქურდოსო.

— რასაკვირველია შემიძლია მიგიითითოთ ისეთ ზირზე, რომელიც ნამდვილათ სანდო იქნება. უთხრა ზადიქმა.

მეფეს ძალიან გაეხარდა, გადაეხვია და აჩქარებდა ჰასუსს.

— უნდა აცეკვოს ეველა ის ზირნი, რომელნიც მო-

ინდომებენ შენ სამეფოში მოღალატობას და ვინც უფრო მარჯვეთ, მსუბუქათ იცეკვავებს—ის იქნება სინიდისიერი და უანგარო მოღალაქე.

— საქმეს სასაცლოთ ხდი! უთხრა მეფემ.—სწორეთ სამარცხვინოა მაგ კვარათ იმ მოღალატის ამორჩევა, რომელსაც უნდა სახელმწიფოს საზინა ჩავაბარო. განა ვინც საუკეთესოთ იცეკვავებს სინიდისიერ მოღალატეთ გამოდგება!

— მე ვაძობ, ის სანდო იქნება და არაფერს არ მოიზარავს მეთქი.

ზადიქი ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ მეფეს ეგონა ზადიქმა რაღაც საიდუმლო იცის, რომლის საშუალებითაც შეიძლება ქურდის ჰოვანასო.

— თუ თქვენ, მეფე, ნებას მოძცემთ, ვცდი ამ სულ უბრალო საშუალებას.

— მოიქცით ისე, როგორც ჭკუა გიჭრიდეთ, წა-  
მოიძახა მეფე ნაბისანმა.

— კარგი, ნახათ, რომ სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება.

—

ზადიქმა მეორე დღესვე მეფის ბრძანება გასცა რომ ეველა, ვისაც უნდოდა უმაღლესი მოღალატის ადგილის დაჭერა სახელმწიფოში, გამოცხადებულიყო სასაღმრთლოში ახალ მთვარესე მსუბუქი აბრეშუმის ტანისამოსით. მსურველთა რიცხვი არ უნდა აღმატებულიყო სამოცდაათსს. მოიყვანეს დამკვრელები. მეჯ



ღისისთვის უველაფერი მომხადებული იყო. მაგრამ დარბაზის კარები დაეკეტათ და იქ შესასვლელათ უნდა გაეკლათ ბნელი ტალანი. შესავალში იდგა მკვარე, რომელსაც შეჭევდა თითო-თითოთ მოცუკვავეები, ისინი იქ ცოტახანს მარტოთ რჩებოდნენ და მერე საცეკვაო დარბაზში შედიოდნენ. მეფემ გამოიწინა ამ ტალანში მთელი სახელწიფოს საგანძური.

როდესაც ეველამ თავი მოიყარა დარბაზში, მეფემ გასცა ბრძანება, რომ დაეწყოთ ცეკვა. მნელი წარმოსადგენია რა უხერხულათ, უშნოთ და ტლანქათ ცეკვავდნენ. ეველას თავი ჩაქინდრული ჰქონდა, მუცელი გამობერილი და ხელები განსე გაფარჩხული.

— ხედავთ მაგ სამაგელ ქურდებს! ბუტბუტებდა ზადიქი.

მათ შორის აღმოჩნდა მხოლოთ ერთი, რომელიც მსუბუქათ ცეკვავდა, თავი ძაღლს ეჭირა და თმაძათ გამოიუწებოდა.

— აი ნამდვილი სინიდისიერი მოლარე! წამოიძახა ზადიქმა.

მეფემ დანიშნა იგი სახელმწიფო მოლარეთ და ეველას სხვები კი სასტიკათ დასაჯა, რადგან ტალანში გავლის დროს ჯიბეები ისე გაეკსოთ ოქრო-ვერცხლით რომ ვერ დამრულიყვენ.

ასე მოხდა: სამოცდაოთხში, მხოლოთ ერთი აღმოჩნდა სინიდისიერი კაცი.

# ლიკლ-ტიკლის ეუფაკობა.



ლიკლ-ტიკლი პატარა ზანგს აბანავენს.

ოველწლივ, ივლისის თვეში, როდესაც ქალაქის ბაღებში მწვანეულობა მტვრისაგან და კვამლისაგან უფროს ჭკარგავს ლიკლ-ტიკლი დედ—მამით, ზატარა დანა „ჭიჭინათი“ გადით და მოსამსახურე ქალით ერთი თვით ზღვის ზირათ მიდიოდენ. ისინი იქ ბინავდებოდენ დიდ წითელ სახლში, დიდივე ბაღი ჭქონდათ. მათ სახლის იქით მწკრივით წითელივე სახლები იდგა. სახლების უკან ველ-მინდვრები და ქვიშიანი ადგილები იყო. ლიკლ-ტიკლის მამა უოველ დღე იქ ნაცნობებში კეკლის სათამაშოთ მიდიოდა და საღამოობით, როდესაც ბრუნდებოდა, სახლში სსვა და სსვა ამბები მოჭქონდა.

ლიკლ-ტიკლს მოსწონდა უფრო სახლის უკან, ზღვისკენ მდებარე ადგილები: დაბალი, სქელი ბაღა-

ნი, მშვენიერი ვითელი ქვიშა და მერე მოლურჯო — მწვანე თვალწვედნელი ზღვა. მას ჰქონდა ზატარა ტოლხა და ნიჩაბი. მთელი დღე ქვიშაში ურევდა ხელებს, თამაშობდა სხვა ემაწვილებთან ერთად და თითქმის ყოველდღე ბანახობდა. ერთი სიტუვით დროს კარგათ ატარებდა.

ლიკლ-ტიკლს ძალიან უხაროდა, როდესაც ესტუმრებოდა მისი ბიძაშვილი თომა, ის ამაზე საში წლით უფროსი იყო და უნდა ძალე მიეზარებინათ სკოლაში.

ემაწვილი გაჭევა დედას სადგურზე თომას შესახვედრათ და როგორც კი ჩამოვიდა მისი ბიძაშვილი ძატარებლიდან ლიკლ-ტიკლი სტუნვით მიუახლოვდა და ადელეგებით უთხრა:

— აბა გამოიცანი ჩვენ მესობლათ რასა ნახავ?

— მოტოციკლეტს? ჰკითხა თომაძ.

ბიჭებს ხომ სულ ამგვარი რამეები ელანდებათ.

— არა, არა. ძარდათ უზახუნა ლიკლ-ტიკლმა. — უფრო კარგი რამე!

— აეროპლანი ხომ არა? დაეკითხა თომა.

— ეკ რასაკვირველია ურიგო არ იქნებოდა, უზახუნა ბავშმა — მაგრამ რასაც მე ვაძობ ველური ქვენიდან არის მოყვანილი.

— ვეფხი? ჰკითხა თომაძ.

— ვეფხი კი არ არის, მაგრამ მაგ გვარი რამეა!

— ლომი?

— არა, ცხოველი არ არი! საძია... ისეთი შავები, შავები.

— ნუ თუ ინდოელები არიან? სისარულით შეჭევირა თომამ.

ლიკლ-ტიკლმა უამბო თომას, რომ მათ მესობლათ ცხოვრობს ვილაც მისიონერი ქალი. მან საიდგანაც, შორეულ ქვეყნიდან, მოიყვანა საძი შავი ბავში, რომლის დედამამს უნდოდათ დაეხრჩოთ საბრალონი, რადგან ქალები იუვენ და არა ვაჟები.

— არც მე ვწუალობ აგრე რიგათ გოგოებს, ცხვირის აწვევით თქვა თომამ და რა ნახა რომ ლიკლ-ტიკლს ეწეინა, მაშინვე დაუმატა— ვეგლასე კი არ ვამბობ შენ სულ სხვა სარ.

ლიკლ-ტიკლი ისევ გამსიარულდა და რაც გაეგონა ამ მესობლათ მეოფე ზანგის ბავშვებსე ვეგლასე ლაფერი უამბო.

როგორც კი გაათავეს გემრიელი საუხმე, ლიკლ-ტიკლი და თომა გავიდნენ ბაღში, აცოცდნენ ღობესე და გადისედეს მესობლისკენ.

თომაც დაეთანსმა რომ ეს შავი ბავშვები სასაცილონი არიან. ისინი ისე თამაშობდნენ, როგორც ჩვეულებრივი თეთრ კანიანი ბავშვები. იქნება ფიქრათაც არ ჰქონდათ, რომ მათ ბოროტ მამას უნდოდა მათი დაღრჩობა. სამივე თეთრ წინწკლებიან წითელი კაბებით იუვენ და ორ უფროსს წითელივე ლენტებით მორთული შლანჯები ესურათ. სულ უმ-

ცროსი „ჭიჭუნას“ ოდენა იყო, ბალასზე დაცოცავდა.

— მას იცი რა ჭქვიან? მერი-ჯენ. აუხსნა თავის ბიძაშვილს ლიკლ-ტიკლმა—დანარჩენ ორს—ძარღოტა და იზაბელა. ასე უთხრეს დედა ჩემს. მე ვეველასე მეტათ მერი-ჯენი მომწონს; ის ვეველასე შავია.

ლიკლ-ტიკლს ძალიან უნდოდა რომ თომა მეტ ხანს დარჩენოდა ამ ჰატარა ზანკებთან, მაგრამ ემაწვილი დაჩქარდა, რომ ზღვის უკუქცევის დროს წელის ნაპირას ეოფილიყო და მოეგროვებინა სხვა და სხვა ლოკოკინები, სადაფები და ზღვის ბალას-ბულასები.

რამდენიმე ხნის შემდეგ, კვირა დღეს წვიმა და ემაწვილები ნასადილგეს მოჭევენ ფერადი სურათების სატვას. ლიკლ-ტიკლი შემთხვევით ჟურნალში წააწვდა ერთ ნასატთან განცხადებას რომ იუიღება ისეთი საპონი, სახელათ ბლენკა, რომელიც თურმე შავ ბავშს რომ წაუსმენ—ათეთრებსო. ლიკლ-ტიკლს არ ენახა ეს სურათი და არც განცხადება ჩააცქერდა, მერე ზმა ამოუღებლივ გაუწვდინა მაგიდანთან მჯდომ თომას, რომელიც გულმოდგინეთ ხატავდა გემს.

— შეხედე ერთი! სწორეთ მერი-ჯენია!

— ნუ მიშლი, უთხრა თომამ,—დაძცა, გემს საკვამლე დაუხატო: ამ გემს ჭქვიან „თეთრი ვარსკვლავი“. საკვამლე შავი და თეთრია.

მერე გადახედა სურათს.

— მე ეს განცხადება სშირათ მინახავს. მერე და-  
უმატა: რა სასაცილო იქნება ის პატარა შავი ბავში  
ბაღში რომ არის, დავიჭიროთ და ვაბანათ.

ლიკლ-ტიკლსაც სწორეთ ეს ახრი უტრიალებ-  
და თავში. რომ გაიგონა ეს სიტყვები, სინარულით  
შესედა ბიძაშვილს და წამოიძახა:

— მოდი ახლავე ვცადოთ! რა კარგი იქნება რომ  
ბავში გათეთრდეს.

თომამ თავი გადაიქნია.

— ჩვენ საზონი არა გვაქვს, წამოიძახა მან და ვერც  
დღეს მოვახერხებთ. პატრონი ქალი სახლშია. ხომ  
გესმოდა ნასადილევს როგორ აბრახუნებდა საკ-  
რავს. უნდა თავისუფალ დროს ჩავიგდოთ ბავში ხელში.  
რა სასაცილო ამბავი იქნება, ბავში რომ მო-  
ვიტაცოთ.

ამათ ეს საქმე უნდა მოეწეოთ. ტიკლს ეცოდე-  
ბოდა რომ ბავში შავია და უნდოდა სიკეთე მის-  
თვის, თომას კი მარტო ხუმრობათ მიაჩნდა ეს ამ-  
ბავი და სშირათ იცოდა ეველას შეშინება და  
წვალება.

დრომ ძალე ხელი შეუწეო. თომამ ჩამოიფარა  
სახესე რიდე და ლიკლ-ტიკლსაც გააკეთებინა რიდე.  
სარტყელში ჩაირჭო წვეტიანი დანა და ჯიბეში სა-  
თამაშო დამბახა ჩაიდო.

ეს საქმე განიძრახეს ოთხშაბათს, ნასადილევს.  
დედა წავიდა რომ ეუერებია როგორ თამაშობდა

მამა კეკელს. წანგების ჰატრონი მისიონერი საუხ-  
 მის შემდეგ ეტლით სადღაც წავიდა და თან შარ-  
 ლოტა და ისაბელა წაიყვანა. ლიკლ-ტიკლმა შეიტყო  
 გადიასაკან რომ ესენი შორს სადღაც სოფელში  
 წავიდნენ.

ასე რომ მერი-ჯენ მოსამსახურე გოგოების  
 ანახარას დარჩა. ის ჩვეულებრივ ბაღში გამოეყვან-  
 ნათ და ბლანსზე თამაშობდა. მას ეჭირა სელში  
 ორი დედოფალა, კასრი და ბლომთ ქვიშა—სათა-  
 მაშოთ. რას მოიფიქრებდა ბავში რომ მას მსვენავები,  
 ლიკლ-ტიკლი და თომა ღობიდან ათვალეწებდნენ.  
 ვერც მოსამსახურე აიღებდა ეჭვს და მხოლოთ ხან  
 და ხან დასედავდა ჰატარა გოგონას.

ბოლოს თომამ უთხრა ლიკლ-ტიკლს: დროა,  
 გადავიდეთ ღობესე და მოვიტაცოთ ბავშიო. ნელ-ნელა,  
 ფრთხილათ ჩავიდნენ ღობიდან ბაღში, ფარულ-  
 ლათ ბუჩქებ და ბუჩქებ შორის მიცოცდნენ იმ ადგი-  
 ლას, სადღაც ბლანსზე თამაშობდა მერი-ჯენ.

— მოიტაცე! გასცა ბრძანება თომამ.

ამ ხმაზე ორივენი გამოცვივდნენ ბუჩქებიდან და  
 მივარდნენ შავ გოგონას, ის ჯერ ვერც კი მოვიდა გონზე  
 რომ სწრაფლათ გადიუვანეს თავიანთ ბაღში. შიშით  
 მერი-ჯენმა დაიღრიალა, „ჭიჭეინასე“ უფრო მეტათ.  
 მაგრამ თომამ იცოდა სერსი, საჩქაროთ ჩაუდო ჰატა-  
 რას შოკოლადი ჰირში და ამითი შეუშრო ცრემლები.  
 გადია და „ჭიჭეინა“ სღვის ჰირას დასეირნობდნენ.

სხვა მოსამსახურეები სამხარეულში ჩაისა სვამდენ. ასე რომ ლიკლ-ტიკლა და თომამ უსიფათოთ მიათრიეს ჰატარა ზანგი საბანებელ ოთახამდის და მიიკეტეს კარი. სამი ნაჭერი ბლენკის საპონი დილთვე ნაუიდი ქქონდათ. ლიკლ-ტიკლა საჩქაროთ გახდა ბავშს ტანისამოსი, თომამ საბანებლათ მოამსადა წვალი. ბავში ისე გართული იყო შოკოლადის ჭამით რომ სმას არ იღებდა.

— აბა, დაიწე! სელახლა ბრძანა თომამ. ისიც იქვე ჩამოჯდა და შოკოლადს შეექცეოდა.

ლიკლ-ტიკლი მოჭევა მუშაობას. გულ დასმით წაუსვა საპონი, მამის ღრუბელით ააქაფა საპონი, სწორეთ ისე უსვამდა საპონს და ჰბანდა, როგორც გადია თავის საეგარელ „ჭიჭინას“, მაგრამ მერი-ჯენ სრულებითაც არ გამოიცვალა.

— ცოტა გათეთრდა განა? დაეკითხა გულდათუთქული ლიკლ-ტიკლი.

— სულაც არა! უზახუსა შოკოლადის ჭამით ბიძაშვილმა.— მე მგონია უფრო გაშავდა კიდევ. ეტეობა საპონი ცოტა წაგისვამს.

ლიკლ-ტიკლი შეუდგა ბავშვის სელახლა ბანას. საპნის მთელი ნაჭერი გამოიღია. წვალი საპნის ქაფათ გადაიქცა. მერი-ჯენი კი ისევ შავი იყო.

— შენ კარგათ უნდა ხეხო, გესმის, ღონივრათ. უთხრა სელახლა თომამ.

ლიკლ-ტიკლა ისეთი ღონით დაუწყო ბავშს



ხესა, რომ ძერჯენება დაიწყო წრიზინი. თოძამ შოკოლადი გაუწოდა, ლიკლ-ტიკლბ დაუვაკებს მოუყვა, ბავში ჩაჩუძდა და ეგვლაფერს მოთმინებით იტანდა.

როდესაც საპნის ძეორე ნაჭერიც დაილია, ბავში მიეკვანა რძეში ამოვლებულ ნახშირს. ლიკლ-ტიკლს ბავშის ბევრი ხესით ხელები დაეღალა.

— იქნება ეს ის საპონი არ არის? დაეკითხა ის თავის ბიძაშვილს.

— როგორ არა, ეს ის არის. უთხრა თოძამ, შენ ვერ ხესავ მაგრათ. აიღე ჩოთქი!

ლიკლ-ტიკლმა აიღო ფრჩხილების საწმენდი ჩოთქი და ისეთი ძალით დაუწყო ბავშს ტანის ხესა, რომ ის ატირდა, მაგრამ ლიკლ-ტიკლი არას დასდევდა და განაგრძობდა თავის მუშაობას.

— ნუ ტირი, ჰატარავ, ანუგეშებდა ზანგ ბავშს, შენი წვალება მე თვითონაც არ მინდა. შენი გულისთვის ჩავდივარ ამას. რომ იცოდე, როგორ გაეხარდება შარლოტას, იზაბელას, შენ დედობილს, როდესაც დაბრუნდებიან სახლში და შენ დაუსვდები სრულებით თეთრი.

ბავში სულ სმა მადლა და სმა მადლა ტიროდა. ლიკლ-ტიკლი უფრო და უფრო მაგრათ უხესავდა ტანს ბავშს. რაც საპონი ჰქონდა თითქმის სულ მოანდომა, ჰატარა ნალევი და დარჩა. აუზი ქაფით აივსო.

ლიკლ-ტიკლი ბავშს თან და თან ვეღარ იკავებდა, ისე ღრიალებდა, წყალს ხელებით ამსახუნებდა. ლიკლ-ტიკლს დაღალვით სახე გასწითლებოდა, მაგრამ ის თავისას არ იძლიდა და როგორც კი მოასწრობდა ბავშს მაგრათ ხეხავდა.

— რა დაემართა, გოჭვივით ჭიჭუენებს!

ლიკლ-ტიკლი დაღალვით სულს ძლივს იბრუნებდა, თომას შოკოლადი გამოეღია, ბავშვის დასახუმებლათ და თანაც მობეზრდა.

— ნამდვილი შავი გოჭია, დაეთანხმა თომა.

— ვაიმე, ვაიმე! იბინება, იფხაჭხება! დაიუვირა ლიკლ-ტიკლმა, — რა საშინელი ბავშია! მინდა ერთი მივტყუებო.

ამ დროს მოისმა კარის რახუნი. ისე საშინლათ აბრახუნებდენ, რომ თუძცა მერიჯენი ღრიალებდა, მანც მოისმოდა.

— მტრები დაგვეცენ! დაიუვირა თომა, რა სულელი ვიყავ, რომ გზა გასაქცევათ ფანჯრიდან არ გავიკეთე.

მან თავისი დაბახა შორს გადისროლა და სასტიკათ გაისედა კარებისაკენ.

ლიკლ-ტიკლი წელში გასწორდა. მთლათ გაწუწული იყო. სახის გამოძეგველება საშინელი ჭკონდა. თამამათ იუყრებოდა, თუძცა ძალიან გულნატკენი იყო, რომ თავისი კეთილი სურვილი ვერ აასრულა.

ლიკლ-ტიკლის ემპაკობა

თავისი ხელით გახლო კარი.

კარებიდან მოჩანდა აუარებელი ხალხი. დედა, მეზობელი ქალი, გადია, რომელსაც ხელში აუვანო-ლი ჰქვანდა ჭიჭყინა, ორი მოსამსახურე ქალი და კიდევ შორიდან ორი შავი თავპირი—შარლოტასი და იხაბელასი.

F10143

მხელი სათქმელია ვინ რას ამბობდა. მეზობელი ქალი ძალიან აღშფოთებული ხელებს შლიდა. დედა ჯავრობდა, რომ ქალს არ ესმის რაშია საქმე. გადიას სულ ვერაფერი გაეგო და რისით ლანაწაკობდა და ლიკლ-ტიკლს ვეელაფერში ამტყუნებდა ამას უნდოდა თავი გაეძარტლებინა და ვეელაფერი ეამბნა, მაგრამ ველში ცრემლები აწვებოდა და ვერაფერი ეთქვა, თომა მიეშველა, საქმე ცოტა არ იუოს გამოირკვა, მაგრამ იმითი გათავდა, რომ ორივენი უხანოთ დარჩენ. მეზობელმა ქალმა მტირალი მერჯენი განსვია საბანში და თავგამოდებით წაიფანა სახლში.

268

ლიკლ-ტიკლის მძა სახლში რომ დაბრუნდა ვეელაფერი შეიტყო, გაჯავრდა, უნდა შვილი დაესაჯა კიდევ რად გაბედა მან ხანგის ემაწვილის მოტაცება და ან მისი ჩოთქის სძარება, მაგრამ დედა გამოეხარება, აუხსნა, რომ ლიკლ-ტიკლს უნდოდა მხოლოდ სიკეთე ბავშვისთვის. გადია კი ასე ძალე არ დამშვიდდა, იმან შემოიტანა ამბავი რომ, ბავშვს მთელ ტანსე აბურცებული აქვს ტყავი და იმუღებელი არიან

საქართველო

მოსარჩენათ ძალაძო წაუსვანო.

დედამ ლიკლ-ტიკლი და თოძა კაკხაუნა ბოდის მოსახდელათ მესობელ ქალთან. მან ჯერ ემაწვილები ცივათ მიიღო, მაგრამ როდესაც დაინახა რომ ლიკლ-ტიკლმა მიუტანა დიდი დედოფალა მერო-ჯენს საჩუქრათ, ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— რა ვუყოთ რომ ემაწვილები შავი არიან თქვა ემაწვილების დედობილმა, კული უნდა იუოს თეთრი.

ლიკლ-ტიკლი დაეთანხმა.

— თავი დამანებე, მაგ ზანკების უურება არც მინდა, თქვა თოძამ,—ეს ჩემი ნავი წვალში ჩაუშვა, ისა სჯობია.

იმხვე საღამოს ტიკლიმ ძილის წინ ამოიღო ჟურნალი, სადაც სურათი იყო დახატული და განცხადება საზნის შესახებ და ქვეშ ნაბეჭდი ასოებით გამოყვანა შემდეგი სიტყვები:

„ეს ეველა სიცრუეა. საპონი არ ვარკაძე თვითონ ვცადე“. ლიკლ-ტიკლი.

ტასო.

(შემდეგი იქნება)





# ცუგო ღა ფისო.



ცუგო

ე ცუგო ვარ, ლეკვი ცუგო,  
გუგორდები ხელში უველას,  
ხემს გამოით ეძახიან  
ცელქ ბაღებსაც ცუგრუ-ძელას.

ფისო

ცუგრუ, შენ ხარ—ძელა?!

ცუგო

შენა!

ძელასავით კუდიანო,  
ძახხარავ და ოინბაზო  
ხემხედ უფრო კუდიანო!

ფისო

ციც, ცუგუნავ! ძელა არ ვარ,  
მეც კნუტი ვარ, მქვიან ფისო;

კრუტუნით და სიუვარულით  
 ეველას უნდა წავეკლისო.

ცელქებს უფრო მე ვუევეარვარ,  
 ფისოც ვარ და ციცოც მქვიან,  
 შენ კი მარტო მეტ სასელებათ  
 ჭამე—ჭამეს გემასიან!..

უიო მღვიმელი.



# გაკვეთილს ვსწავლობდით!



ექსო და რესო არეულობის გამოღებად მამამ ბაქოდან თბილისში ჩამოიყვინა.

თბილისში ბინის მოვნა გაუჭირდათ. ქალაქს უოველ მხრიდან დიდ ძალი ჩამოსულები იძულებული

ხალხი მოაწედა. ასალ განდენ დაბინავებულ იყვენ ორ ოთახში, ისეთ სივიწროეში, სადაც ემაწვილები თავისუფლათ ვერ ითამაშებდენ, ვერ ივარჯიშებდენ. შედარებით ბაქოს ბინის დიდრონ აივნებსა და ხეებით შემკულ ფართო ეზოსთან რასაკვირველია აქ, ქალაქში, ერთ მტკაველ ეზოში, სულს ვერ მოიბრუნებდენ.

ზამთარმაც მოაღწია. ლექსო და რესო ცოცხალი ხანსათის ბავშვები იყვენ და ვერ ურიგდებოდენ გარემოებას: ხან სად გაიქცეოდენ და ხან სად უც-

ხო ქალაქის დასათვალიერებლათ. ბავშების მამა საქმეებში იყო გართული და სულ ქალაქ გარეთ იმყოფებოდა. დედა კი სულ იმ სრუნვაში იყო, რომ ემაწვილები სადმე სასწავლებელში დაებინავებია და დიდი გაჭირვებით იკავებდა მათ სახლში.

ამ ფსიხელ და დაუდგროძელ ბავშების გართობა მხოლოდ ნაცნობებს შეეძლო. ხან ერთი ეწვეოდა მათ და უცნაურ ამბებს მოუყვებოდა და ხან შეორე. მეტადრე რესო სმენათ იყო ხოლმე გადაქცეული და გაგონილი ამბები მოსვენებას არ აძლევდა.

მათი ბიძაშვილი, ჯარისკაცი ნიკო, სშირთო მოუყვებოდა ომის ამბებს. ბავშები გატაცებით უგდებდნენ უურს, როდესაც ის უამბობდა ტყვიის მტეორცნელებზე, როგორ შეასწავლეს ინგლისელებმა მაიმუნებს სროლა. ლექსო და რესო გაწითლებულნი და აღელვებულნი ჰირდადებულნი შესცქეროდნენ თავის ბიძაშვილს და სხვა და სხვა კითხვებით უჭირებდნენ საქმეს.

ერთხელ მათთან შემოვიდა ერთი ნაცნობი, ბაქოდან გამოქცეული ქალი და შეწუხებით წამოიძახა:

— იცით, რომ წუხელი საღამოს ჩვენი აღექსანდრე გაჭქურდეს? გაიტაცეს დიდ ძალი ფული, რაც სახლში თვალსაჩინო ნივთები ჰქონდა წაიღეს!

ქალს ეველანი მოეხვიენ და დაუწევს დანვარილებით გამოკითხვა.

ქალმა ხმის კანკალით დაიწყო:





— საღამოსე, როდესაც ვეკლანი, დიდი და ჰატარა ჩაის მაგიდას უსხდენ, ერთბაშათ, თურმე, შევიდა ხუთი-ექვსი კაცი ნაბდებ წამოსსმული, ეახლას მოხვეული. ხელში ვეკლას სჭერიათ თოფები, დამბახები, უუმბარები, დიდათ ზრდილობიანათ, თურმე, მიუანლოვდენ ვეკლას და უთხრეს: „ადგილიდან არ დაიძრათ, სმაკრინტი არ ამოიღოთ. ჩვენ გვინდა ფული და ნივთები, წინააღმდეგობა არ გაგვიწიოთ, თორემ მოკვლავთო“.

ლექსო და რესო თვალებ დაჭყეტილნი გაცუბულნი შესცქეროდენ ქალს.

— ვეკლაფერი წაიღეს, არავინ არ დამრულა ადგილიდან, ისევ ისევ დამუნჯებულნი მაგიდას უსხდენ, განავრძო ქალმა. ეახლებმა ჩაილაგეს ვეკლაფერი ჯიბეებში და რევოლვერების დამიხსებით, ფეს აკრეფით გავიდენ ოთახიდან.

— მერე, მერე! წამოიძახეს ბავშებმა, — არავან გამოუდგა, არ დაიჭირეს....

— როგორ გამოუდგებოდენ, იმათ კარები გარედან გადაჭკეტეს.

—

იმ საღამოს ბავშები მოუსვენრათ იყვენ. თუძცა ცდილობდენ დამშვიდებას, არ უნდოდათ გამოეჩინათ ლანჩრობა და მოუსხდენ მაგიდას გაკვეთილების მოსამსადებლათ.

დედამ რომ შვილები დამშვიდებული ნახა—გა-

დაჭკოცნა და ცოტა სნით სხვაგან წავიდა. ბავშვებს კარები დაჭკეტეს.

თუძცა ემაწვილები წიგნებს მიუსხდენ, ცდილობდენ დაწინაწებულებევენ, მაგრამ ბაქოელი ქალის ნახამობი თავიდან ვერ მოეშორებიათ.

ოთახში სრული სიჩუძე, გამეფდა მსოფოთ ბავშვები სძა ძაღლა კითხულობდენ გაკვეთილს... თან და თან მიწინაზდა ძათი სძა.... დრო გადიოდა....

—

უცბათ გაიღო კარი, შემოვიდა ოთხი—ხუთი კაცი ნაბდებით და უახალახებით, ეველას სათითაოდ თოფები ეჭირათ ხელში, რეზომ თითქოს ეუძბარადა დანახა. ბავშვები შეშინებულნი შესცქეროდენ შემოსულებს, თრთოდენ...

რეზომ წაიბუტბუტა: ეახადები, ეახადები!

ლექსომ ჰირსე ხელი მიაფარა—გაჩუძდი, არ მოგუკლანო.

— არ დაიძრათ, თორემ დავსოცავთ, ხედავთ ამ რევოლვერს. ერთი ეახალი ძათთან დადგა, სხვებს დაიწეეს აკლება, თარეძობა.

— გვითხარი ახლავე სადა აქვს დედა შენს შენახული ფული, თორემ ცოცხალს არ გავიშვებთ!

ბავშვები შიშით კანკალებდენ და უნებურაო იეურებოდენ იმ ძაგიდისაკენ, სადაც დედა ფულს ინახავდა.

უჩაღებმა შეასწრეს თვალი, მივარდენ მაგიდას და დაიწვეს იქიდან ვეკლაფურის ამოღებება.

რესომ წაილულუდა:—ხვალ უსადილოთ ვიქნებით, დედას ფული აღარ დარჩება.

უჩაღები მერე მივარდენ შკაფს და გამობაღბაგეს ვერცხლეულობა. რესომ რომ კოვზები დანახა, უცბათ წამოჰახა:—ხვალ ვედარც ჩანს დავლევთ.

ლექსომ ფესი წაჰკრა—ჩახუმი.

უჩაღები მერე მივარდენ წვრილძან ნივთებს, ჯიბეში იღებებდენ.

— ხედავ, ბიძას ნახუქარი „ნახოლეონი“ ჯიბეში ჩაიდეს, წახხურჩულა რესომ ძმას.

— სუ, სუ! ხედავ, მამიჩემის ნახუქარი ვერცხლის რაინდიც მოიპარეს...

მერე უჩაღები დიდი სმაურობით გაეშურენ კარებისკენ. მოისმა კარის რახუნი...

—

სელახლა მოისმა კარის ძძლავრი რახუნი. ბავშვები წამოხტენ, თვალების ფშვნეცა დაიწვეს, მიიხედა მოიხედეს: ისინი ისევ თავიანთ მაგიდას უსხდენ. მოესმათ დედის სმა:

— რა დაგეძარათთ შვილებო, რატომ კარს არ მიღებთ?

ლექსო წამოვარდა, დედას კარი გაუღო და თან აქეთ იქით რეტიანივით იცქირებოდა.

დედა გაცნობული ეკითხებოდა—რამ მოგივიდათო?

— გაკვეთილს ვსწავლობდით! ღმერთმანი, გაკვეთილს ვსწავლობდით! დაიწყო სხანასხუნით რეზომ... შემოვიდნენ თოფებით უჩაღები, ავკიკლეს. ლექსომ ხმა არ ამოძაღებინა—მოკვკლავენო, თორემ მე მინდოდა მუშტით მომეგვრებია ისინი.

და რეზო მოუვება დედას უჩაღებზე.

დედამ ჩაიკრა გულში შეშინებული ბავში, დაუწყო ალერსი, დამშვიდება და უთხრა,—წიგნების კითხვაზე ჩაგძინებია და ეველაფერი დაგსიზმრებია. რეზომ დანახა მართლაც, ლექსოს ვერცხლის „რანიდი“ ისევ თავის ადგილას, ზიანინოს თავზე, მისი „ნაპოლეონიც“ ისევ თავის ადგილას იდგა.

მაგრამ რეზო დიდ ხანს ვერ დამშვიდდა და ხულ გაიძახოდა: გაკვეთილს ვსწავლობდით, გაკვეთილს, უჩაღები რომ შემოვიდნენ. არც ლექსოს სძინებოდა მოსვენებით და აქამდის ვერ მოსულიყო კონს.

დედა კვლავ ამშვიდებდა ბავშებს და უხსნიდა რომ იმათ დილინდელი ქალის ნაამბობი ჩაჭყოლიათ გულში და ის ესიზმრათ.

ან. წერეთლისა.

## ტანტალი.



რც ერთი მიწის შვილი არ უეკარდით ისე ღმერთებს, ოლიმპიელებს, როგორც ძებესის ვაჟი, ტანტალი, ძეუფ ლიდისა.

სრული ნდობით უეურებდენ მას. ტანტალი მათთან სადილობდა და იცოდა ყოველისფერი, რაზედაც უკვდავები ლაპარაკობდენ.

ტანტალს არ აკმაყოფილებდა ასეთი ბედნიერება. მან

შეურაცყო ღმერთები.

ღმერთების საიდუმლოებას ის უმხელდა ადამიანებს, იპარავდა მათ სუფრიდან ნექტარს და ამბროსიას და უმასწინძლდებოდა მიწის შვილებს.

ერთსელ მან დაძალა ძვირფასი ოქროს ძაღლი, რომელიც მოიპარა ძებესის ტაძრიდან ერთმა მისმა ძეგობარმა.

ქურუმმა მოსთხოვა მონაპარის დაბრუნება. ტანტალმა დაიფიცა არა ვიცი რაო.

ერთსელ კიდევ მან დაჭაბუჩა ღმერთები და მოინდომა მათი ცოდნის გაგება.

მიართვა სადილათ თავისი ერთად ერთი ვაჟი, რომელიც მოაკვლევინა და შეაწვევინა მხარეულებს. ღმერთებმა გაუგეს ბოროტმოქმედება.

ღმერთ ქალამ დემეტრამ, ამ დროს ღრმა ფიქრებში ვართულება თავის ქალ ჰერსეფონასე, შესჭამა მხრის ნაწილი. სხვებმა კი ჩაჭყარეს ემაწვილის სხეულის ნაწილები ქვებში.

ზარკა კლომ ამოიევანა იქიდან გამართლებული ვაჟი. მხოლოდ შეჭმულ მხრის მაგიერ იყო სხვა, სწილოს ძვლისა.

ტანტალი კი ღმერთებმა განდევნეს ჯოჯოხეთში, სადაც მას საშინელ ტანჯვით უნდა მოენანიებინათ თავისი შეცოდება.

ის იღვა შუა ტბაში. წვალი უწევდა ნიკანამდე— მაგრამ დაღევა კი მას არ შეეძლო.

როგორც კი დაეწაფებოდა წვალს—წვალი იმ წუთსვე უკუიქცეოდა, თითქოს დაშრებოდა. საშინელი წუურვილი სტანჯავდა მას. იტანჯებოდა აგრეთვე სიმშლით.

მშვენიერი სესილები, ტბის ნაპირას, უწვდიდენ მას დატვირთულ ტოტებს, სიბლავდენ მის თვალებს.

მაგრამ როგორც კი მოისურვებდა ერთი ნაყოფის მოწვეეტას,—დაჭებრავდა საშინელი ქარი, ტოტები გაიწეოდენ და, საბრალო, მხოლოდ შორიდან და უცქეროდა ხილს. ამას დაუმატეთ მუდმივი შიში სიკვდილისა. ზედ თავს დანცქეროდა ვეება კლდის

ნაჭერი და უქადიდა ეოველ წუთს ჩამოვარდნას.

ამ წიგათ იყო დასჯილი ტანტალი, რი-  
 მელმაც მოინდომა ღმერთების მოტეუება.

## პელოპსი.

სრულებით არა ჰგავდა მამას ტანტალის ვაჟი,  
 პელოპსი.

მამის განდევნის შემდეგ ის გაემგზავრა საბერ-  
 ძეთის დასათვალიერებლათ. ამ მოგზაურობის დროს  
 მან შეირთო მშვენიერი ჰიპოდამია, ქალი ენომანისა,  
 ელადის მეუღისა.

ადვილათ არ ერგო მას ეს ქალი.

ორაკულმა უწინარმეტეველა მეუფეს, რომ ის  
 მოკვდება, როგორც კი გათხოვდება მისი ქალი.

შეშინებული მეუფე ცდილობდა ჩამოეშორებინა  
 მისი შთოვნილები.

მხოლოდ ის იქნებოდა მისი ქმარი, ვინც აჯო-  
 ბებდა მეუფეს ცსენების ჯიშითში.

ის კი, ვისაც აჯობებდა მეუფე, უნდა გამოსთხო-

ვებოდა წუთისოფელს.

ჯიშითი სდებოდა თეზიდან ზოსეიდონის ტაძრამდე, კორინთის ზღვის ნაპირზე.

მეფის ზირობები შემდეგი იყო:

საქმრო გამოვა ოთხი ცხენით, ის კი, როგორც დაძმთავრებს მსხვერპლის შეწირვას, დაეწევა მას ორ ცხენიანი ეტლით. მას თან ახლავს მეეტლე, შუბით ხელში. თუ დაეწია, ნება აქვს შუბით განკვიროს.

ბევრნი სინარული თანხმდებოდენ ამ ზირობებზე, ეგონათ ენობაი სუსტი მოხუციად, რომელიც განკებ სდებს ასეთ ზირობებს, რომ შემდეგ გააძმართლოს თავისი დამარცხებაო.

მოდოდენ ელადაში მთხოვნელები და უველას იღებდა სტუმართ-მოვეარე ენობაი. ის ძიართმევდა საქმროს ლამაზ მოსართავეს ცხენებისათვის, თვითონ კი წავიდოდა ძებესის ტაძარში მსხვერპლის შესაწირავათ. რომ გაათავებდა, გაექანებოდა იმ ჭაბუკის დასაწევათ. მისი ფეს-ძარდი ცხენები ქარსავით მოჭქროდენ, ის დაეწეოდა მას, როცა ჯერ კიდევ სულ შორს იყო მიხნისაგან, და უღმობელათ განკვირავდა შუბით.

ამ რიგათ მოჭკლა ენობაიმ თორმეტი ჭაბუკი. მისი ცხენები რჩებოდენ გამარჯვებულნი.

როდესაც ჰელოზსმა, ცოლისძე ბნაში, მიაღწია კუნძულ ჰალაჰეს, მან დაინახა რომ მიუახლოვდა ელადას.



მაშინ ჴაბუკმა მიძარტა თავის მუარველს—დიდ ზოსეიდონს. ზოსეიდონი გამოვიდა ჴღვის სიღრმიდან.

„მძლავრო ზოსეიდონო, ჴღვების მფლობელო, თუ მწუალობ, ამაძორე ენომანის შუბი, მოძეც ვეკლასე ჩქარი ეტლი, აფროდიტეს სასეულით გევედრები, მოძანიჭე გამარჯვება.

ასე ევედრებოდა ჰელოზსი.

მისი ვედრება ღმერთმა შეიწენარა.

ადელდა ჴღვა. ამოვარდა ჴღვის სიღრმიდან ოქროს ეტლი, ოთხი ფრთიანი ცხენით.

გასარებული ჰელოზსი ჩაჯდა და გაექანა ელადისაკენ.

ენომანი რა დაინახა იგი, შეკრთა, იცნო ჴღვის ღმერთის ცხენების მოსარტავი.

შეჯიბრებაზე უარი ვედარ სთქვა. მანც ჴქონდა იმედი თავის ცხენებისა. ცოტა დაასვენა ჰელოზსმა და გაექანა.

მიჴქრის მიხნისაკენ და აი თითქმის მიადწია; უახლოვდება ენომანის ეტლი, ცხენები მწევიან მის ეტლს და აი ხედავს ჰელოზსი მოძარტულ შუბს.

ამ დროს ზოსეიდონის ბრძანებით ენომანის ეტლი დაეჯახა ქვას ეტლი გადაბრუნდა და დაიძსვრა.

ენომანი დაეცა მიწაზე და განუტევა სული.

ჰელოზსი მიბრუნდა სასახლისაკენ. მეფე ენომანის სასახლე იწოდა. მას დაეცა მესი.

ჰელოზსმა გადაარჩინა ცეცხლისაგან ენომანის მშვენიერი ქალი.

# გზეთ უნახავი

სამ მოქმედებიანი პიესა

მომქმედნი ბირნი.

ბართბატონი—სხასლარი.

მზეთ-უნახავი (მზეხა)—ბართბატონის ერთათ ერთი ქალი.

გაღია—სნიერი დედაკაცი. მზეხას აღმზრდელი.

ძიძა—ლამაზი ქალი, მზეხას ძიძა და აღმზრდელი.

მოურავი—ბართბატონის შინა ემა, სნიერი კაცი.

მასხარა—ბართბატონის შინა ემა (ქონდრის კაცი).

მესტვირე.

ბრძენი—სნიერი კაცი.

მეცნიერი სნიერი კაცი.

ბერიკა—მხუცი.

პირველი მსახური ქალი.

მეორე მსახური ქალი.

სტუმრები—ქალები და ვაჟები, მსახურნი.

მოქმედება სწარმოებს ბართბატონის სსასწავლი.

## მოქმედება პირველი.

**სცენა.** კახტათ მართული დარბაზი. კარები შუაში, მარცხნივ და მარჯვნივ, ტახტები ხალიჩებით და მუთაქა-ბალიშებით. მარჯვენა კარებიდან დრო გამოშვებით მოისმის სტუმრების მხიარული ყრიაშული, სიცილი, ტაში, სიმღერა და საკრავების ხმა. ბართბატონი დღესასწაულბს თავის ერთათ ერთი ქალის მზეხას დღეობას. ფარდის აწევის დროს სცენა ცარიელია.

**პირველი ბაგოსვლა.**

**ბართბატონის ხმა.** (მარჯვენა კარებიდან) აბა, ძვირფასო სტუმრებო, ქალნო და ვაჟნო, დიდნო და მცირენო, იმხიარულეთ და იქეიფეთ. არ მოიწყინოთ და არ მოაწყინოთ ჩემი სინათლე, ჩემი თვალის ჩინი, ჩემი მზეთ-უნახავი!

**პირველი სტუმრის ხმა.** დღე გრძელი იყავ, დიდო ბატონო, ღმერთმა გიცოცხლოს და ბედნიერ ჰყოს შენი მზეთ-უნახავი და ჩვენი ნუგეში, ორთავ იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ! დღეგრძელობა მამასი და შეიღოს!...

**ყველანი.** იცოცხლეთ მრავალ-ჟამიერ! (მისიმის კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ).

**ბართბატონი.** (ამ სიმღერის დრას სიამოვნებით გაჭკივის) ჰაი, ყოჩაღ ბიჭებო—შევიარდენებო!.. გმადლობთ!.. ჰაი, თქვენი ჭირიმე, თქვენი!.. ჰარიქა ბიჭებო! ეგრე, ეგრე!.. დასკექეთ!! ჰარიქა! გმადლობთ. (რცხას სიმღერა გათავდება, სტენაზე გამოფევენ ბართბატონი და მზეხა).

**ბართბატონი.** რა იყო, შეიღო, დაილაღე?!

**მზეხა.** ჰო, მამიკო, ცოტათი მოვიქანცე და თავიც ამტკივდა! იქ მეტათ ბევრი ხალხია! აქ კი ხალვათობაა!

**ბართბატონი.** როგორც შენ ესურდეს, ჩემო სიცოცხლევ! აი აგერ მოურავიც მოჩანჩალებს! რას იტყვი მოურავო.

**მოურავი.** (შემადის და დაბლა თავს უკრავს) დღეგრძელობა შენა და შენს თვალის ჩინს, ჩვენს ნუგეშს, მზეთ უნახავს!.. დიდო ბატონო, სოფლის გოგო-ბიჭები გუნდათ შეკრებილან და ნებას ითხოვენ სიმღერა-გალობით მიესალმონ ჩვენს ანგელოზს, ჩვენს მზეთ-უნახავს!

**მზეხა.** მოვიდნენ, მამიკო! შემოვიდნენ!

**ბართბატონი.** იყავ ნება შენი, ჩემო სიცოცხლევ! მობრძან-

დნენ ძვირფასი სტუმრები! (მთუწავი გაგა მარჯვენა კარებში და შემოვლენ სოფლის გოგო-ბიჭები, თაიგულებით ხელში, მინდვრის ყვავილებით და ხარბლის თაფთაყვებით).

**ბართბატონი** გამარჯობა თქვენი, ყმაწვილებო.!

**ყველანი.** დღე-გრძელობა დიდს ბატონს და ჩვენს ანგელოზს მზეთ უნახავს!

**მზეხა.** გმადლობთ, ჩემო მეგობრებო.

**ბიჭიკო** (ბიჭიკო ყველასზედ უფრო ჰატანს, გამოერჩევა გუნდიდან, წინ წამოიწევს და თაიგულს მიაწთმევს მზეხას). სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების.

**მზეხა.** (გადაჭკონის ბიჭიკოს). გმადლობთ! ეხლა სიმღერაც იმღერეთ და დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი!

**ბიჭიკო.** (გუნდს მიმართავს). აბა ეხლა სიმღერა! (გუნდი დაიწეებს მღერას).

**ბართბატონი** (რცხა გუნდი სიმღერას გაათავებს) ჰაი, ყოჩაღ, გოგო-ბიჭებო! მშვენიერი სიმღერა გცოდნიათ! უქვევლია სიმღერის გარდა, ცეკვა-თამაშიც გეცოდინებათ!..

**მოურავი.** იციან და აგრე! ფეხის ფრჩხილებიდან სულ ნაპერწკლები სცვივათ ხოლმე!..

**მზეხა.** მამიკო, ჯერ ლეკური, მერე უზუნდარა, მერე ცანგალა და მერე...

**ბართბატონი** (გაწყვეტიანებს) და მერე კიდევ სხვა და სხვა თამაშიც! აბა დაიწყეთ! მოურავო, დაუძახე მოსაკრავეთ!

**მოურავი.** (გარბის მარჯვნივ). ეხლავ, დიღო ბატონო! (მთას მის ლეკური და სხვა და სხვა სათამაშოები რამეაზედაც ტეკვავენ და თამაშობენ, უკველ თამაშის შემდეგ ბართბატონი ყველას მადლობას ეუბნება. ტაშს ყველა დამსწრენი უკრავენ, რცხა, ტაში სჭირდება ხოლმე).

**ბართბატონი** ჰაი, ყოჩაღ ბიჭებო! ჰაი გადღეგრძელოთ ღმერთმა! საუცხოვო ცეკვა-თამაში იყო. მოუტავო, აბა აღარ იძუნწო და კარგათ გაუმასპინძლოდი ყმაწვილებს!

**ყველანი.** გმადლობ, დიღო ბატონო და ჩვენო მზეთ უნახაო!.  
**მოურავი.** დიღო ბატონო, მესტვირე მოვიდა და თუ მიბრძანებთ, შემოუშვებ!

**მზეხა.** მოვიდეს, მამიკო, ძლიერ მიყვარს მესტვირეს ლექსები...

**ბართბატონი** იყოს ნება შენი, შეილო ჩემო! აბა, მესტვირე მოვიდეს!

**მოურავი.** (გარბის და შემოდის მესტვირესთან ერთად)

**ბართბატონი.** აბა, მოხუცო, მომართე შენი ქამანჩა და სტვირი!

**მესტვირე.** ღღეგრძელობა ჩვენს ბატონს და მის მშვენებას, მზეთ უნახავს. მე და ჩემი სტვირ-ქამანჩა შენი მონა მორჩილნი ვართ. რომელ სიმღერას გვიბძანებ, დიღო ბატონო!

**ბართბატონი.** რომელიც შენ თვითონ გინდოდეს. სიმღერა რაც უფრო მარტივია და სადაა, მით უფრო ხვდება გულს და სულს!

**მესტვირე.** (დაიწეებს). ავდექ, ტყის პირას მოვმართე,

ხე გამოვთალე სახმარი.

ტყის პირს სიმტკიცე ვახმარე,

ხერხი ვახმარე, სხვა ხმალი,

ოთხი ძმანი ჯორზე შევესვი,

ვალაპარაკე სხვა — სხვანი

და ამის გამომცნობელსა

ჭკუა ექმნება სახმარი!

**მასხარა.** ეგ შაირი კარგი იყო და მიგიხვდი რაცა არი:

მაგას ვეძახით ჩონგურსა, რომ მოაღხენს სულს  
და გულსა!

ეხლა შენზე მოისმინე: სული არის ღვთისა,  
მუცელი აქვს ცხვრისა,

- სოფელ-სოფელ ჩამოივლის,  
 ყველგან იღებს მინდსა!..
- მზეხა.** ოჰ რა კარგია, მამიკო!.. მეტათ მომეწონა და  
 მესიამოვნა!
- ბართბატონი.** მაშ თუ აგრე გასიამოვნა სტვირის ცხვირი  
 სულ თეთრი ფულგებით აუვსე!
- მზეხა,** სიამოვნებითი (გამაართმევს მამას ქისას და გერცხვას  
 ფულებს სტვირში ჩაუყრის შესტვირეს).
- მესტვირე.** გმადლობთ, ჩემო ნუგეშო, და შემებრალებელო!  
 ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი მზეთ უნახავი.
- ყველანი.** ღმერთმა გვიცოცხლოს,
- მასხარა.** ჰეი, ჰეი რას შერებით? ჩემს ქონებას რათ ფან-  
 ტავთ და რათ აბნევთ?! (შიმაწთავს ბართბატონს) შენ,  
 ჰეი, ჩემო მოურავო! განა აგრე პატრონობ ჩემს  
 ავლა-დიდებას?
- ბართბატონი.** (იციხის) ოჰ, შე მასხარა, შენა! მოურავათაც  
 გამხადე.
- მასხარა.** გამხადეო! გაგხდი, სულ ერთიანად გაგხდი, ტიტ-  
 ლიკანას გაგისტუმრებ! (შესტვირეს) რას მიყურებ  
 აგრე გაკვირვებული! რას სჭყეტავ მაგ დასაბრმა-  
 ვებელ თვალებს? რას დგებარ? ამდენი ქონება  
 ამწაპნე და ეხლა მიცქერი? გაეთრიე!.. ახტი-ბახ-  
 ტი, თორემ მოგხვდება ლახტი!..
- მოურავი.** ლახტი მაგას კი არა და შენ კი მოგხვდება!
- მასხარა.** აჰა, შენც აქა ბრძანდები მოურავო, თუ მოუპარა-  
 ვო! ეგ სულ შენი ოინობაა მესტვირე თეთრი  
 ფულით რომ გასტენეს, განა არ ვიცი, მონახევრე  
 შენ იქნები...  
 ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,  
 კარგი ვაჟიკაცისათვის თავზე წამომდგომელია,  
 სამჯერ გეტყვი მის სახელსა,  
 თუ მიხვდები რომელია?  
 ხომ ვერ მიხვდი? აბა როგორ მიხვდები... შენ  
 შენი თავი გგონია და მართალიცა ხარ... ეგ არის

მელია... შენცა ხარ მელია!..

**მოურავი.** (შეუტეგს) ოჰ შე მასხარავ, შენა!

**მასხარა.** ჰა, შორს მეთქი!.. ერთი რამე სულიერი  
თავსა იწევს ყადივითა  
მართალი სძულს, ტყვილი უყვარს,  
მხდალი არის ქალივითა!

ეს ხომ ნამდვილი შენი სურათია მოურავო!?

**მოურავი.** (შეუტეგს) ოჰ, შე მასხარა, მაგისათვის კი  
გაიტყუებები!

**მასხარა.** (მზეთ უნახავს ამოეფარება) აჰ, აღარ გაბედო, თო-  
რემ ისეთ ლაწანს მოვადენ, რომ სულ ვაი-ვაის  
ჰკიოდე!.. ისეთი კისრული ვიცი, რომ თუ წამო-  
გიდე—აქედან, აი იმ შარა გზაზე გაგთხლაქამ!

**მოურავი.** ეგ ენაც რომ არა გქონდეს, რაღა გეშველებოდა?

**მასხარა.** მე ყოველთვის მეშველება, სანამ მფარველ ბატო-  
ნათ და პატრონათ ჩვენი მზეთ-უნახავი მყავს.  
დღეგრძელობა და ბედნიერება ჩვენს ანგელოზის  
ბადალს, ჩვენს მზეხას!

**ყველანი.** გამარჯვება და დღე-გრძელობა მზეთ-უნახავს.

**მასხარა.** მზეთ-უნახავს ჩვენი სალამი და პატივის ცემა.  
თავს ვუკრავ, დაბლა, თუ გამიშალა ტაბლა,

**მზეხა.** მობრძანდით და ინადიმეთ!

**ყველანი.** თავს ვუკრავთ დაბლა (ამ დროს შემოვა შეუმჩნევლათ  
ბერიკა და შუა კარებთან გაჩერდება).

**ბერიკა.** მე არც მივესალმები და არც თავს დაბლა დავუკ-  
რავ! რადგანაც მზეთ-უნახავი მაგისი ღირსი არ  
არის!.. (მსწრაფად გადის, საერთო უხერხულადაა... ზოგს  
დაჭკარ უნდა ბერიკასი და გამოედევნებიან, მაგრამ ამათ.  
მზეთ-უნახავი გულ-ნატკენია ძლიერ და ცრემლ მორეუ-  
ლი გადაეხვევა მამას. უგულა კარებს მისჩერებია. ცოც-  
ხალი სურათი.

ფარდა.



# თეატრი მასწავლებელია

არტისტ გედევანიშვილის (მირაგიანის) გარდაცვალებაზე.



არსულ თვეში, თბილისს, გარდაიცვალა ნიჭიერი არტისტი ქართულ და სომხურ სცენისა, გედეონ მირაგიანი (სცენაზე ცნობილი გედევანიშვილათ).

ხშირად იტყვიან—თეატრი მასწავლებელია, თეატრი იგივე სკოლაა მოზღლილებისთვის, მაგრამ ნამდვილათ კი სცენა უფრო ხშირად მხოლოდ გასართობია. მარტო იმისთანა არტისტებზე, როგორც განსვენებული მირაგიანი იყო, თამამად

შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ის სწორეთ მასწავლებელი იყო სცენაზე და მწერლობაში.

ის დაიბადა თბილისში 1859 წ. და გიმნაზიის დასრულების შემდეგ კანცელიარებში მსახურობდა, მაგრამ ჩქარა დაანება თავი სამსახურს, შესაფერი ეგზამენი დაიჭირა და შევიდა მასწავლებლათ ჯერ სომხების სკოლაში და შემდეგ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც მასწავლებლობდა სიკვდილამდე.

ამავე დროს მირაგიანი ხშირად თამაშობდა ქართულსა და



სომხურ წარმოდგენებში და შემდეგ მუდმივ დასში შევიდა. 1910 წ. მისი 25 წლის იუბილე გადიხადა ორივე დასმა. საზოგადოება დიდის პატივით მიეგება იუბილიარს და დაასაჩუქრა განსაკუთრებული ყურადღებით.


ადგილობრივი რეცენზენტები ერთხმით აქებდნენ პატივცემულ არტისტს, როგორც ნიქიერს, ქკვიანს, ჩაფიქრებულ და სინდისიერ მუშაკს. მირაგიანი თამაშობდა იმ პიესებს და როლებს, რომელთაც აღმზღელობითი მნიშვნელობა ჰქონდათ მაყურებლისათვის. ის ხშირად გამოდიოდა შექსპირის, მოლიერის, შილლერის, იბსენის, გუცკოვის, სარდოს და სენკევიჩის პიესებში. რუსის დრამატურგებთაგან უყვარდა გოგოლი, გრიბოედოვი, ოსტროვსკი, ჩეხოვი; ქართველ მწერლებთაგან — აკ. წერეთელი, გ. ერისთავი, ცაგარელი, სუმბათოვი, სომხის დრამატურგი — სუნდუკიანცი. თავის ბენეფისში სდგამდა მოლიერისა და ბომარშეს კომედიებს.

მირაგიანი, როგორც ზემოთ ვთქვით, იყო აგრეთვე მწერალი. ძალიან ბევრს პიესებს სთარგმნიდა რუსულიდან ქართულათ და სომხურათ, ქართულიდან სომხურათ და სომხურიდან ქართულათ. მას გადათარგმნილი ჰქონდა ცაგარლის პიესები — „კიშბირელი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ!“ და „ბაიყუში“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“ — სომხურათ; სომხურიდან ქართულათ შირვანზადეს პიესა „ნამუსი“ და ბევრი წვრილი პიესები რუსულიდან ქართულათ და სომხურათ.

მირაგიანი ამასთანავე სწერდა სომხურ გაზეთებში და ჟურნალებში ქართულ სცენის ისტორიას, რეცენზიებს ქართულ პიესებზე და არტისტებზე. მანვე გამოსცა ერთ დროს ჟურნალი „თეატრის ბიბლიოთეკა“, სომხურათ. ამგვარათ მირაგიანი ყოველთვის ცდილობდა დაეახლოვებია ადგილობრივი სცენები.

საზოგადოთ განსვენებულ მოღვაწეს დიდი სამსახური მიუძღოდა ადგილობრივ თეატრის აღორძინებაში და ძლიერ სასურველია რომ მას ჩვენში კარგი მიმბაძველი გამოაჩნდეს.

## კავიბანი იანვარი.



ანდელის პატარა სახლში სწრაფათ მიდიოდი დღე-დღე-ზე, კვირა-კვირაზე, თვე-თვე-ზე, შეუმჩნევლათ დადგა ზამთარი, მაღალი კოშკი და კედლები დაფარა ფუმფულა თოვლმა. კლდეების ძვიდევებზე ყინულის ჩურჩხელები ჩამოეკიდა.

შიგ სახლში კი თითქოს განუწყვეტელი ზაფხული იდგა: მოხუცი და პატარა ქალი ისე ათბობდენ

ერთმანერთს სიყვარულით, ისე კარგათ გრძნობდენ თავს, როგორც ყვავილები, ჩიტები, ცხოველები და ადამიანები გაზაფხულის მაცოცხლებელი მზის სხივების სითბოში. ზამთარი შუქურას ძალიან უყვარდა— ზამთარში ბაბუა თითქმის სულ არ გამოდიოდა სახლიდან; მთელ დღეებს და გრძელ საღამოს შინ იჯდა თავის საყვარელ შუქურასთან. ზამთრობით მოხუცი ხარატობას იწყებდა; თავისი ჯადო დანით სჭრიდა მრავალ გვარ საუცხოვო რამეებს: უბრალო ფირფიტებს მეტად ლამაზ და კოხტა ნივთებათ აქცევდა. ამ დროს ბავში წყნარათ უჯდა გვერდით ბაბუას და თვალს არ აშორებდა იმის თითებს. ბაბუა შუქურას უცნაურ ზღაპრებს უამბობდა და მთელი საღამო საინტერესო და გასართობი ხდებოდა ბავშვისათვის. ასეთ საღამოებს შუქურა უსაქმურათ როდი ატარებდა— იმისაც ჰქონდა თავისი ხელსაქმარი: დიდი

ხნიდან ნაგროვებ ფერად ნაჭრებისგან კერავდა საბნის პირს. ის ხშირათ ეუბნებოდა ბაბუას: მე ისე ვერ ვიმუშავებ, თუ ამ დროს საინტერესო რამეს არ მიაშობენო.

ამიტომაც, როგორც კი შენიშნავდა ბაბუა მაგიდაზე დალაგებულ ჩითის ფერად-ფერად ნაჭრებს, მაშინვე აბოლლებდა თავის მოკლე ჩიბუხს, ჩაჯდებოდა ბუხრის წინ დადგმულ დიდს სავარძელში და დაიწყებდა ან ზღაპრებს, ან რაიმე საინტერესო მოთხრობას. რაღეს არ მოიგონებდა ხოლმე თავის მოგზაურობის დროს ნანახსა და გამოცადის! ოკეანეში ძვირფას მარჯნისა და მარგალიტის ლოკოკინების ქერას., საშინელი ზღვის მგლების (აკულა) ამბავს, უხარმაზარი ვეშაპის ყოფა-ცხოვრებას; უამბობდა შუქურას როგორ დასცურავს ცივ ოკეანეში უშველებელი მთელი დიდი სოფლის ოდენა ყინული. როგორ მოსწყდებოდა ხოლმე ყინულს რომელიმე ყურე და ზედ ხანდახან თეთრი დათვი მოექცევოდა და დასცურავდა ზღვის სივრცეში.

ცეცხლი მხიარულათ გუგუნებდა ბუხარში და აყუჩებდა ქარიშხალის მრისხანე ხმას. ოთახში სითბო და სიხარული მეფობდა: დრო შეუმჩნევლათ გადიოდა და ამოკლებდა ზამთრის გრძელ ღამეს. ამასობაში დაძინების დროც მოაწევდა; ბაბუა საღამოს ლოცვას იტყოდა, თავის ძვირფას გოგონას პირჯვარს გადასახავდა, ტკბილათ ჩაჰკოცნიდა და დასაძინებლათ წავიდოდა. შუქურა სწრაფად ვაეხვეოდა თავის თბილ ქურჭში და ჩაიძინებდა იმ წამში, რა წამშიც თავს ბალიშზე დასდებდა. ბაბუას საარაკო მოთხრობები ახლა ჯადოსნურ სიზმრებათ გადაექცეოდა პატარა გოგონას. რამდენი სასიამოვნო გასართობი გამოუჩნდებოდა ხოლმე შუქურას ეზოში მზიან დარში! ნაძვის ხის ახლოს მიწა დაშვებულა ჩაღრმავებულ ადგილისაკენ, სადაც დედამიწის გულში მიმაღულ წყაროს უდენია, ამ ადგილას გაჩენილი გუბე სიგრძით ოცი, სიგანით ათი ნაბიჯია. შუქურას ძროხა მთელი საათობით იდგა ამ წყალში ზაფხულის ცხელ დღეებში და ღრდათაც ნეტარობდა. სასიამოვნო სანახავი იყო ზაფხულში თეთრი ბუმბულა ღრუბლების ნაზი ანარეკლი, რომელიც ანკარა

წყალში ძალიან ცხდათ მოსჩანდა. ბუჩქების ტოტები და ნაპირის ბალახები ხომ მუდამ ლამაზათ იხატებოდა ტბის კიდეებზე. მაგრამ შუქურას ზაფხულში როდი იზიდავდა ეს გუბე: ზაფხულობით იმას უყვარდა ოკეანეს ნაპირზე ყოფნა და იქ თამაში.

რამდენათაც ზაფხულშიგულ გრილათ უცქეროდა გოგონა გუბეს, იმდენათ ზამთარში დიდის სიყვარულით ებყრობოდა მას. ზამთარში გუბეს ქარი ისე არ აღელვებდა, როგორც ოკეანეს. როგორცკი დადგებოდა მაგარი ყინვა, გუბე გაიყინებოდა და სარკესავით ბრწყინავდა იმის სწორე ზედაპირი. როგორც კი მოთოვდა, ბაბუა გულმოდგინეთ გადაგავდა გუბეს და ის მუდამ მოწმენდილ—მოკრიალებული იყო. შუქურა სიამოვნებით ატარებდა დროს ამ გუბეზე: ხან ციგით დასრიალობდა, ხან უციგოთ დაიწყებდა სრიალს ყინულზე, ხან აარჩევდა ცოტათი დაქანებულ ნაპირს და იქიდან დაეშვებოდა ძირს თამაშ—კისკისით. თამაშობით გულშეჯვრებული ბავში დაბრუნდებოდა შინ და დიდის ყურადღებით და სიამოვნებით შეუდგებოდა სადილის კეთებას.

მთელი დღე ასეთ სიამოვნებაში და სიხარულში გადიოდა პატარა გოგონასთვის. მაგრამ კიდე უფრო საამო იყო ზამთრის საღამო, როცა ბაბუას გვერდით მოუჯდებოდა და მასთან ერთად ათვლიერებდა სხვა და სხვა საინტერესო სურათებს, ან ყურს უგდებდა ბაბუას ამბებს. ასეთი გართობა იწყებოდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა პაწაწა დიასახლისი ქურჭლების დარეცხას მორჩებოდა, ან საოჯახო საქმეს მოათავებდა. მათ ბიბლიოთეკაში ცოტა იყო წიგნები და შუქურას ასჯერ მაინც ჰქონდა გადახედული ყველა სურათები, მაგრამ ის მაინც დიდის ყურადღებით ათვლიერებდა ხოლმე ამ სურათებს და სიამოვნებით ისმენდა ბაბუა რომ სურათების შინაარსს უხსნიდა.

ასე ობლათ ცხოვრობდა ეს ორი კეთილი და მშვიდი არსება მივარდნილ და განმარტოებულ კოშკზე, მუდამ მხიარული, მუდამ ბედნიერი და ერთმანერთის მოსიყვარულე. ამათ არც კი იცოდენ, თუ რა არის მოწყენილობა, თუმცა



ასე იშვიათად ხედავდნენ ადამიანებს და მათთან თითქმის არასოდეს არავინ მიდიოდა, გარდა ერთი მნახველისა. ეს იყო ლოცმანი ბობ პიტი. ის ზამთრობითაც არ ივიწყებდა პატარა უდაბურ კუნძულზე მცხოვრებ მეგობრებს. როდესაც ბობი ესტუმრებოდა კუნძულის მცხოვრებთ, იქაურობა ახმაურდებოდა: თბილსა და მყუდრო ოთახში გაისმოდა მხიარული და ხმა მაღალი ბასი. შუქურას სიცილ—კისკისი ხომ ერთი-ათად აცოცხლებდა ყველაფერს.

ასე შეუმჩნევლათ გავიდა ზამთრის პირველი ნახევარი მას შემდეგ, რაც შუქურას ნათესავები აღმოუჩნდა.

დადგა შობის დღესასწაულებიც. ბობი ესტუმრა კანდელის კოშკის მცხოვრებთ, ჩვეულებრივად დატვირთული სხვა და სხვა ტკბილეულობით და ხილით. გარდა ხილისა, ბობმა მოიტანა მაგრათ დაჭედილი მოზრდილი ყუთი, რომელზედაც ეწერა: „კაპიტან იანვარის შუქურას“ ბაბუაქ რომ ყუთი გახსნა, შიგ იწვა აბრეშუმის ქალღმერთში განხვეული მშვენიერი დიდი დედოფალა, ისეთი ლამაზი და კოხტა, რომლის მსგავსი შუქურას არა თუ ცხადათ, სიზმრათაც არასოდეს არ დასიზმრებია. დედოფალა თვალებს ხუჭავდა, იღიმებოდა, ხელ-ფეხს ანძრევდა, საზოგადოთ ძალიან წაგავდა ცოცხალ მშვენიერ ბავშს. თავზე მშვენიერი სქელი, ოქროს ფერი თმა ჰქონდა. ცალკე ყუთში ეწყო დედოფალს საცვლები და ტანსაცმელი. ყუთის ძირში აღმოჩნდა ფრთხილათ განხვეული ლამაზი ქარვის ჩიბუხი—ბაბუა იანვარის საჩუქრათ.

გარდა ყველა ამებებისა ყუთში იყო დეიდა იზაბელას წერილი, შუქურასთან მოწერილი. ეს იყო პირველი წერილი, რომელიც ბავშმა მიიღო თავის სიცოცხლეში. წერილს დიდის ყურადღებით დაუწყო კითხვა, კიდევ მეტის ყურადღებით სინჯავდა დეიდას სურათს, რომელიც წერილთან ერთად აღმოჩნდა და რომელზედაც ეწერა: „ჩემ ძვირფას დისწულს იზაბელას, დეიდასაგან.“ დედოფალამ სწორეთ აღტაცებაში მოიყვანა ბავში. ისეთი სიფრთხილით სინჯავდა შუქურა დედოფალას, ისე ეშინოდა არაფერი დაუშავდესო!

ისეთი სიფრთხილით მიადებდა ლოყას იმის რბილს თმებს! ბაბუა და მისი სტუმარი ძალიან გაერთენ რაღაც სერიოზულ ლაპარაკში. ამ დროს შუქურამ წაიყვანა ძვირფასი დედოფალა ზემო სართულში. იმან დასვა ის ნაიადას გვერდით, რომელიც, როგორც ყოველთვის, ახლაც სწორედ იჯდა თავის მაგიდაზე.

შუქურამ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და დიდხანს უცქეროდა ორ დედოფალას. რა დიდი განსხვავება იყო ამათ შორის. მშვენიერ ნაზ მზეთუნახავთან შედარებით საბრალო ნაიადა კიდევ უფრო უშნოთ და ულაზათოთ გამოიყურებოდა, ვიდრე მარტოობაში. იმის უშნო თმა სწორეთ დაძველებულ ქეჩას წააგავდა ახალ მოსულ დედოფალას ოქროსფერ, მშვენივრათ დაფარცხნილსა და დაკულულებულ თმებთან შედარებით. რა საშინელი სანახავი იყო ნაიადას ჩაცვნილი, უშნო თვალები ახალ მოსულის მშვენიერ, დიდრონ ლურჯ თვალებთან, რომელნიც თითქოს შემოგცინოდენ, როგორც ცოცხალი ბავშვის ეშმაკური თვალები! მაგრამ შუქურა თავისებურათ უყურებდა ყველაფერს! დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ იმან აიღო ახალი დედოფალა და ფრთხილათ ჩასდო, დედის ყუთის სულ ძირში. მერე მოახვია ნაიადას აბრეშუმის შარფი, ერთი ჩაჰკოცნა და მხიარულათ გაეშურა ქვეითა სართულში.

ამასობაში ორი მეგობარი ნაღვლიანათ ბაასობდენ. კაპიტანი იანვარი ჩვეულებრივი დამშვიდებული კილოთი ლაპარაკობდა, ხოლო ბობი კი მეტათ ცხარობდა, დელავდა და ხშირათ შეწყვეტდა ხოლმე ბაასს. ერთი ორჯერ ზეზეც წამოვარდა ბობი და აღელვებით დაიწყო აქეთ—იქით სიარული.

— სისულელეს ამბობთ, კაპიტანო! მე ეს არ მჯერა! თქვენ ისეთი ჯან-მრთელი ხართ, რომ კიდევ ოც წელს მაინც იცოცხლებთ, ამბობდა ის გაცხარებული, შეიძლება ოცდაათსაც გასძლოთ. ბიძა მყავს მე—ას სამი წლისაა! აი, ნამდვილი ჯან-მრთელი კაცი ამდენს ცოცხლობს!

კაპიტანი იანვარი ღიმილით უგდებდა ყურს და წყნარათ აბოლვებდა ჩიბუხს.

— ჩემო მეგობარო, წყნარათ უთხრა მან ბობს. — ყველა კი ვერ მიხვდება, თუ როდის დაჰკრავს მისი უკანასკნელი ჟამი. მთელ ჩემ სიცოცხლეში ვევედრებოდი ღმერთს, რომ მოენიჭებია ჩემთვის ეს ბედნიერება და მცოდნოდა თუ როდის განვმორღები ამ სოფელს. ჩემი ვედრება ღმერთმა ისმინა. ჩემი პაწია ბავშვის შესახებ მე დამშვიდებული ვარ და ამიტომაც სიკვდილის არ მეშინიან. მადლობელი ვარ შენი, ჩემო მეგობარო, შენი გულკეთილობისა და ერთგულებისათვის. სადაც უნდა ვიყო, მე შენ არ დაგივიწყებ. ახლა ყური მიგდე რა უნდა გთხოვო: მე გამოვკიდებ ბაირაღს კანდელის სახურავის კუშტულზე; დაე, იფრიალოს იქ ქარის ნებაზე. შენ კი თვალი ადევნე მას, როცა კუნძულის ახლოს გაივლი: თუ ბაირაღი თავის ადგილზე დაინახო, იცოდე, რომ აქ მშვიდობაა. თუ რომ ბაირაღი დაშვებულია, მოაშურე ჩემს კუნძულს და სთხოვე კაპიტან ნაზროს დაუყონებლივ გაუგზავნოს დეპეშა ქალბატონ მორტონს. მისწეროს ასე: „კაპიტან იანვარს ებრძანა წარსდგეს წინაშე უფლისა. გამოეშურეთ ბავშვის წასაყვანათ“ შენ კი, ჩემო კარგო მეგობარო, არ დასტოვო ბავში მარტო. ვიცი, დიდი უბედურება იქნება მისთვის ეს შემთხვევა.

— იმის უმანკო გულში ჩაბუდებულია დიდი სიყვარული ბებერი ბაბუასადმი, იმისი გული ძვირფასი საუნჯეა. ჩემს გარდა ჯერ მას არაფერს ჰყვარებია. რა გაეწყობა! იყოს ნება ღვთისა ჩვენზედა. ის არ დააგდებს პაწაწას უმოწყალოთ. იმის მოწყალებისა და შენი გულკეთილობის იმედი მაქვს, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა ბაბუამ, ოთახში შემოირბინა შუქურამ. ის ძალიან მხიარულათ იყო. დიდ მადლობას გრძნობდა დეიდასადმი ძვირფას საჩუქრებისთვის. მაგრამ ახალი დედოფალა რომ შეინახა, მას შემდეგ თითქოს უფრო დამშვიდებით გრძნობდა თავს. ახლა ყველაფერი ძვე-

ლებურათ იყო: ნაიდა ისევ მარტოთ მარტო განაგებდა ოჯახს და ახალი სტუმრის არ ერიდებოდა.

— მოდით, ვითამაშოთ, დაიყვია ბავშმა და დაუწყებოდა ბობს აქეთ-იქიდან ტორტმანი.

მაღე გაიმართა ბურთის მხიარული თამაში. რაკი სახლში ბურთი არსად მოინახებოდა, იმის მაგიერობას ბობის მოტანილი ფორთოხლები ასრულებდა.

მეორე დღეს მაღალი კოშკის კუშტულზე— აფრიალდა ცისფერი ბაირალი.

ზამთრობით გემი დასცურავდა ამ ალაგებში მხოლოდ სამჯერ კვირაში. ბობი დიდის შიშით გახედავდა ხოლმე კანდელის ბაირალს, როცა კუნძულს დაუპირდაპირდებოდა. ბაირალს რომ თავის ადგილას დაინახავდა, იმ წამს გამხიარულდებოდა და თავის ადგილას მიჯდებოდა გემის საჭესთან. „მაღლობა ღმერთს, იტყოდა დამშვიდებული— მოხუცისას მშვიდობააო“

ამასობაში კაპიტანის სიმრთელე თან და თან უარესდებოდა. იმას გაუხშირდა გულის წუხილი და სულის ხუთვა, რომელიც დასჩემდა იმის შემდეგ, რაც შუქურას ნათესავები მოვიდნენ კუნძულზე. მოხუცს რომ გული შეეწუხებოდა, იმ წამს იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მიბობლებულიყო თოკთან, რომელიც დაბლა სართულში, მისი ოთახის შესავალთან იყო დამაგრებული და რომლითაც კანდელის ბაირალის აწევ-დაწევა შეიძლებოდა. როგორც ცუდათ იგრძნობდა თავს, მიხობდებოდა ამ თოკთან, აიღებდა ხელში ბაირალის დასაშვებ თოკს და იცდიდა— ეტყობა დღეს კიდევ არაფერი მიქირსო, იტყოდა ის, როცა გული იწყებდა მოსვენებას... ასეა თუ ისე ერთი ნაბიჯით კიდევ დავუხლოვდი სიკვდილს, შენიშნავდა მოხუცი და დაუმატებდა: უფალო, ნუ დაადებ უმწეო ყრმას.

თან და თან უახლოვდებოდა კაპიტანი თავის აღსასრულს.

გაზაფხულიც მოვიდა! ყველაფერი მწვანით შეიმოსა. მინდორ-ველი აჭრელდა სხვა და სხვა ფერის ყვავილებით,



ჩიტების გალობა, ზღვის ტალღების ნელი უხუილი ტკბილათ გაისმოდა ირგვლივ და სმენას საამოდ ეალერსებოდა. ყველაფერი შეჰხაროდა ძვირფას სტუმარს—სანატრელ გაზაფხულს, შუქურაც ჩიტებთან ერთად გალობდა და ხარობდა. როგორ წარმოიდგენდა საბრალო ბავში, თუ სულ მალე დაუდგებოდა წინ პირველი მწუხარება მის მხიარულსა და დაუდევარ სიცოცხლეში. ის სულ ვერ ამჩნევდა, რომ ბაბუა ძალიან გამოცვლილი იყო, რომ იმის ხმა თან და თან სუსტდებოდა, ფეხებს უწინდელზე უფრო სუსტათ ადგამდა, რომ წელში უფრო მოიხარა. სიკვდილი ისე ნელა ეპარებოდა მოხუცს, რომ ბავშისთვის ძნელი შესამჩნევი იყო.

როცა ერთ დღეს ბაბუამ უარი უთხრა შუქურას მთებზე სასეირნოთ წასვლაზე, ბავში ძალიან დაღონდა, მაგრამ მაინც ვერაფერი შეამჩნია.

— შენი ბაბუა რაღაც გაზარმაცდა: მას ურჩევნია დასტკბეს კარგი ამინდით ერთ ალაგას მჯდომი, სიარული და სეირნობა სულ არ ეხალისება!...

შუქურამ ხუმრობით უსაყვედურა მას და მარტო წავიდა სასეირნოთ.

წავიდა ბავში, მაგრამ უწინდებურათ მხიარული ვერ იყო. თითქოს რაღაც აწუხებდა, გულზე არა ჩვეულებრივი სევდა მოაწვა—ბაბუა კი ამ დროს მარტო იმაზე ფიქრობდა, —ბავშვისთვის არ შეემჩნევიანებინა თავისი მდგომარეობა; ცდილობდა ისე მოეწყო საქმე, რომ ბოლომდის ვერ მიმხვდარიყო შუქურა თუ რა მოელოდა.

დღე დღეს მოსდევდა. კაპიტანი უფრო და უფრო სუსტდებოდა. რაღაც იღუმალი სევდა ბავშსაც დაეტყო. ის უწინდელზე კიდევ მეტად ეალერსებოდა ბაბუას, კიდევ მეტად ესიყვარულებოდა და ცდილობდა ყველაფერში ესაიმიონებია მისთვის. უწინდელ სიცელქესაც თავი დაანება. მუდამ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ბაბუასთვის რამე ესაიმიონებია.

ბავშვი გაიღვიძა მოსიყვარულე ქალის გრძობაში, ფიქ-

რობდა იანვარი და ძალიან კმაყოფილი იყო, რომ შუქურა ვერას ამჩნევდა.

დადგა დღე, როცა მოხუცი მეტის-მეტათ დასუსტდა. თითქმის სულ ველარ ხმარობდა გაშეშებულ ხელ-ფეხს. გარეთ მშვენიერი მაისის დილა იყო, ნისლის მსუბუქი ნაფლეთები აგერ-ვგერ დასცურავდა, თითქოს თეთრი აბრეშუმის ლეჩაქიაო.

კაპიტანმა ბავში მინდორში გაგზავნა ძროხის დასახედავით, თვითონ კი დიდი გაკირვებით მიჩოჩდა სავარძელთან. დღეს არავითარ ტკივილს არ გრძნობდა, მხოლოდ მთელი სხეული თითქოს უშეშდებოდა, ხელ-ფეხი ყინულისგან გაუცივდა, ყურები სულ უწიოდა. ნეტა მალე გაიაროს გემმა, ფიქრობდა კაპიტანი.

— შუქურა! უცბათ დაუძახა მან ბავშს.

ღია კარების იქიდან მოესმა მსუბუქი ფეხის ხმა. შუქურა გამოჩნდა კარებში და შესდგა. ბაბუა განგებ ისე დაჯდა, რომ ბავშს არ დაენახა იმისი პირისახე.

— რომელი საათია, შეეკითხა ის ბავშს და თან ძალიან ცდილობდა მხნეთ ყოფილიყო, ჩვეულებრივის ხმით ელაპარაკნა. მალე გაივლის გემი?

— ის კიდევ გამოჩნდა, ბაბუნი, მიუგო ბავშმა.

— წადი ნაპირზე, გოგონა. დაუქნიე რამე ბობის, რომ მალე მოვიდეს ჩემთან. ის შემპირდა... უნდა ვენახე. დღეს თითქოს იღრუბლება, ბნელდება!..

— არა, ბაბუა, ნათელი დღეა: შენ მხოლოდ ოთახში გეჩვენება ასე. გარეთ მზე კაშკაშებს და ცაზე ერთი ღრუბელიც არ მოჩანს.

— აბა წადი, ჩემო კარგო, ბობს ანიშნე მნახოს. მეც წავალ, მშვიდობით ჩემო ნათელო შუქურავ, სთქვა მან, ბავში რომ კარებს გასცილდა.

ფეხები უფრო და უფრო უცივდებოდა, თვალები თან და თან უბნელდებოდა.

— ერთი კიდევ შემეხედა შენთვის, ჩემო საუნჯევ...

არა, არაა საჭირო, იყოს ნება ღვთისა.

დიდის გაჭირვებით წამოიწია მომაკვდავი და ძლიერ-ძლიობით მიჩოჩნდა იმ ალაგას, სადაც თოკი იყო გამაგრებული.

— ღმერთო შემადღებე თოკის დაწვევა! უკანასკნელი ძალ-ღონე შეიკრიბა, როგორც იყო ჩასტიდა ხელი თოკს და დასწია. შემდეგ კიდევ მეტის გაჭირვებით მიბობლდა სავარძელთან, ჩაჯდა შიგ, დალუნა თავი და დაიწყო წყნარათ ლოცვა.

ამასობაში გემი თან და თან შორდებოდა კუნძულს და თეთრი ქაფის კვალს სტოვებდა ზღვის ანკარა ზედაპირზე.

გემს მოშორდა შავი პატარა ნავი და შურდულივით გაქანდა კუნძულისკენ. ბობიმ დაინახა თუ არა პატარა შუქურა და შენიშნა დაშვებული ბაირაღი, მიხვდა რაშიც იყო საქმე და შეშინებული გაეშურა კოშკისაკენ. ის მიხვდა რომ კაპიტანმა იანვარმა განუტევა სული. ბავში მის ამარა იყო დარჩენილი.

(დასასრული.)

6. შარაშიძისა.



# ზღვის ფრინველები

უფროსი გარნიანი და ოქროს ქოჩრიანი პინგვინი.



აზოგადოთ წყალზე მცხოვრები ფრინველები უმთავრესად იმითი განირჩევიან, რომ ფეხის თითები გაბანდული აქვთ, წყალში ცურვისთვის მომზადებული მოკლე ფეხები ტანის ქვემოთ, ბოლოსთან აქვთ გამობმული, რის გამოც ეს ფრინველები სიარულს ძნელათ ახერხებენ, ლახ-ლახებენ, გადად—გადმოდიან.

შებუმბლულნი არიან მკვიდრათ, მჭიდროთ, თანაც ბუმბულ გაქონილი არიან, რომ წყალმა არ ჩაატანოს. ამისთვის კურტუმზე განსაკუთრებული ჯირკვლები გამოჟონენ ქონს, ცხიმს, რომელსაც ფრინველი ნისკარტით იღებს და ფრთებს იცხიმებს. ბუმბულის ქვეშ ყუვთუკით არის ტანი შემოსილი. ფრთები (საფრენათ) ზოგს ძლიერ აქვს განვითარებული (ფრეგატი, ზღვის მერცხალი, მეთოვლია), ზოგს კი სრულებით მცირეთ.

წყლის ფრინველთა საზრდო—საკვებს შეადგენს უმთავრესათ წყალში და მის ნაპირზე ნანადირევი წვრილმანი თევზი—ჭიჭყინა, ჭია-ლუა, ჭიანყელა; ზოგი კი თესლეულობასაც ეტანება, ბუდეებს იშენებენ ხმელეთზე, სადმე კლდეში, მის ნაპრალში, ნალრუნტში ან შამბ-ნარში. აქ სდებენ კვერცხებს, კრუხდებიან, გამოჩეკენ წიწილებს, რომელნიც უკვე



ყუფთუკით შემოსილნი ჩქარა იწყებენ სირბილს და წყალში ცურაობს, ყურყუმალაობს, ნადირობს.

როგორ და როდის მოიშინაურა ადამიანმა ბატი და იხვი, ამის საბუთი ხელთ არ გვაქვს, მაგრამ ის კი აშკარაა— დიდი დრო უნდოდა რომ ფრენის უნარი დაჰკარგოდათ. ჩვენ ვიცნობთ თავისუფლების მოყვარე გარეულ ბატს და იხვს ძრიელის ფრთებით და ლონიერ დაკბილულ ნისკარტით—აბა ამათთან შეადარეთ მონობაში დასახიჩრებული შინაური ბატი და იხვი.

არიან ზღვის ბატებიც, რომელნიც იშვიათად შორდებიან თავის სამშობლოს, საყვარელ ზღვას; ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე **გარიანს**, რომელიც ხშირად გვხვდება ჩვენს ტბა—მდინარეებზე, მაგრამ არიან **ზღვის გარიანებიც**.

ზღვის ფრინველები მთელ თავიანთ სიცოცხლეს, დღე და ღამე, ზღვაზე ატარებენ—ცელქობენ, ცურაობენ, ნადირობენ, ყურყუმელაობენ წვრილმან თევზებს იჭერენ—ზღვა უხვია მათი საკბილო საქმლით და არიან თავისთვის მარად მაძღარნი და მხიარულნი. ხმელეთზე გამოდიან მზიან მყუდრო ადგილას, მეტადრე ზღვის ფრთონა—ღელვის დროს, ზოგჯერაც მთელი გუნდი მოედება ხოლმე ზღვის პირათ კლდეებში ბუდეების ასაშენებლათ, კვერცხების გამოსაჩეკათ თავიანთ გვარის გასამრავლებლათ.

უკვე დიდი ხანია ნამდვილ საბუთებითაა დამტკიცებული, რომ სიცოცხლე ჯერ ზღვა-ოკეანეში დაიწყო და ბოლოს ხმელეთზედაც ამოვიდა, ამოცოცდა. მაგალითად პირველი ხერხემლიანი ცხოველები ზღვაში გაჩნდნენ თევზის სახით, თევზების შემდეგ კი გაჩნდნენ ცხოველები **წყალთხმელეთისანი**, რომელნიც თუმცა წყალში ცხოვრობდნენ, მაგრამ ხმელეთზედაც ისწავლეს ცხოვრება—ჰაერის სასუნთქველათ თან და თან ფილტვები მოიპარჯვეს, გაიჩინეს.

აეილოთ მაგალითად ბაყაყი. ბევრს ჰგონია, რომ ბაყაყი **ქვე წარმავალია**, მაგრამ არა—ბაყაყი არის ნამდვილი წყალთა-ხმელეთის ცხოველი. ბაყაყი ქვირითიდან (კვერცხებიდან) იჩეკება, იზადება ისე, როგორც თევზი, ამ პატარა „თევზებს“ **თავ-კომბალას** ვეძახით, ჰაერს ჯერ ლაყუჩებით სუნთქავენ ისე, როგორც თევზი. ბოლოს და ბოლოს ორი თვის განმავლობაში გარდაიქმნიებიან ხოლმე ბაყაყათ და მაშინ კი ისე სუნთქავენ ფილტვებით, როგორც ხმელეთის ყველა ცხოველი.

ბოლოს წყალთა-ხმელეთის ცხოველთაგან წარმოსდგა **ორი ტოტი**: ერთი მხრივ განვითარდნენ ქვე-წარმავალნი—კუ ზღვისა და ხმელეთისა, მერე ყველა ნაირი ხვლიკი, ყოველგვარი გველი და ნიანგი, რომელთაგანაც წარმოსდგა ფრინველთა ნათესაობა. ჰაერის მეფეს არწივს დღეს რომ უთხრა: შენი მოდგმა კუსაგან წარმოსდგებაო, რა თქმა უნდა არ იამება, მაგრამ ნურას ითაკილებს. **მეორე ტოტისაგან** წარმოსდგნენ ძუძუმწოველნი ცხოველნი—ზღვის ღორი, კენგურუ, ირემი, ლომი, ღამურა, მაიმუნი, რომელთა გვირგვინს შეადგენს ადამიანი და ღირსეულათაც ბრძანებლობს ბუნების სივრცეში.

მართლაც და მხოლოდ ხმელეთზე შეიძლებაო სიცოცხლის ასე ძლიერ განვითარება, უზარ-მაზარ ცხოველთა გამრავლება, რადგან ჰაერი იქ (ხმელეთზე) ჰარბათ შეიცავს სიცოცხლის ცეცხლს, უკვდავების წყაროს **ჟანგბადს** და ზღვა-მდინარეებში კი თევზებსაც ძლივს ყოფნით წყალში შერეული ჰაერი. ამიტომაცაა რომ თევზის სისხლი ცივია და ხმელეთის ცხოველთა სისხლი კი თბილი. მაგრამ ისიც ყველასათვის ცხადია, რომ სიცოცხლისთვის წყალიც იმდენათვეა საჭირო, რამდენათაც ჟანგბადი (მჟავბადი),—ყოველივე რაც ცოცხლობ: მცენარე, ცხოველი და თვით ადამიანიც თავის წონის ნახევარზე მეტს წყალს შეიცავს.

დღეს ამ წერილით ჩვენ გვსურს გაგაცნოთ ორი უცნაური ფრინველი; უფროთა გარიანი ძლიერ წააგავს ფრინ-

ველს და ფრთები კი არა აქვს, ჯერაც ვერ მოშორებია ზღვას.

აგერ დახედეთ ნახატს. ჩრდალოეთის ზღვის კლდიან ნაპირზე შეკრებილა მთელი გუნდი უფროთა გარიანებისა და



რაღაცას ბეჭენ. რა თქმა უნდა ვილჰელმს კი არ ასამართლებენ, რომელმაც მათ მყუდროება დაურღვია თოფითა და ზარბაზნებით,—ამათ უფრო იმის დარდი აქვთ ბუდე აიშენონ სადმე კლდეებში, კვერცხი დასდონ თავის მსგავსის

გამოსაჩეკათ, გასამრავლებლათ.

აგერ დახედეთ ფრთების მაგივრათ ამ მასხარებს რა-  
 ლაც ლასტები ნიჩბებივით ჩამოუკიდიათ. უფროთო გარიანის  
 მოყვანილობა ბუხრის ქუდს (შაქრის თავს) წააგავს—ძირში  
 განიერი და ზემოთ წოწოლა, ტანით ბატის ოდენაა, ფრენა  
 არ შეუძლია, მოკლე ფეხები სულ ბოლოში აბია, როგორც  
 წყლის ყველა ფრინველებს, თანაც ბოლო ძლიერ მოკლე  
 აქვს და არც თუ საჭიროობს მას.

2) უფროთო გარიანს ძლიერ ჰგავს გარეგნობით **პინ-  
 გვინი**. მეცნიერთა აზრით ეს ფრინველი წარმოსდგა თევზი-  
 დან ანუ დელფინიდან. პინგვინს, გარდა ოქროს, ქოჩორისა,  
 შესანიშნავი, თავისებური ფეხები აქვს—ყველა ოთხი თითი,  
 რომელთა შორის სამი გაბანდულია, წინ არიან წამოსულნი.  
 ფრთები იქამდე განუფითარებელი აქვს, რომ უფრო თევზის  
 ფრთებს ანუ ლასტებს, საჭეს, ნიჩაბს მოგავგონებსთ. პინგვინს  
 ფრთების ბუმბულები ქერცლით, ქერტლით ისე აქვს დაფე-  
 ნილი, როგორც თევზის ტანი, მართლაც მთლად ტანი პინ-  
 გვინს შემოსილი აქვს თევზის ქერტლის მსგავს ბუმბულებით  
 და ისეა ქერტლი კრამიტევით ზედი-ზედ დაწყობილი, რო-  
 გორც თევზის ტანზე გინახავსთ.

ბრემი ამბობს: „პინგვინი შეიძლება შევადაროთ **დელ-  
 ფინს**, მართლაც და პინგვინები არა თუ თავის ცხოვრებით,  
 ხასიათით და ჩვეულებით, წააგვანან დელფინებს, არამედ  
 ძლიერ წააგვანან ამ ონავარ ცხოველებს თავიანთი მოძრა-  
 ობითაც, ხოლო ზოგი გვარი პინგვინი იმდენათ ძლიერ წა-  
 აგავს პატარა დელფინს, რომ შორიდან ვერც კი გაარჩევთ  
 პინგვინები ყურყუმელოებენ ზღვაში თუ დელფინები“.

სამწუხაროთ, ადამიანის მსუხანგობამ სრულებით გააჩანა-  
 გა პინგვინთა ხსენება—უღმერთოთ ხოცავდენ, კვერცხებს  
 ნავეებით ზიდავდენ, საბოლოოთ არას ნალელობდენ. თუ  
 დღეს თითო ოროლა პინგვინს კიდევ ვხედავთ, ეს მხოლოდ  
 იმიტომ, რომ ინგლისის მთავრობამ სასტიკათ აუკრძალა მე-  
 ზღვაურთ პინგვინების ხოცვა და მათი კვერცხების მოპარვა.



# სპარტაკი.

VII



ომეღ ჯარის დამარცხებამ დიდად  
აღელვება კაპუის გარშემო მდებარე  
ქალაქები, სადაც აჯანყებულებმა  
ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი—რო-  
მის სენატმა გადასწყვიტა სპარტაკის  
საწინააღმდეგოთ სამი ათასი კაცი

გაეგზანათ. სარდლათ დაუყენეს მოხუცი და კარგად გამოც-  
დილი კაცი, კლავდიუს გლაბა.

ვიდრე კლავდიუს ბრძოლას დაიწყებდა აჯანყებულე-  
ბთან, სპარტაკმა არ დააყოვნა თავის რაზმის შემოკრება.  
თორმეტი დღის განმავლობაში შესძლო გათამამებულ აჯან-  
ყებულთა შეკავება. აქეთ-იქიდან მრავლათ მოაწყდენ მისი  
რაზმის შესავსებად. ეხლა ათას ხუთას კაცამდე ავიდა მისი  
პატარა დასტა. ეს უკვე მთელი ჯარი იყო. სპარტაკმა კარ-  
გათ იცოდა ყველა ხალხის სამხედრო საქმის ვითარება,  
იცოდა ისიც, რომ რომეღ ჯარებს დიდი უპირატესობა  
ჰქონდათ ყველას წინაშე—ამ უპირატესობას იგი ჰხედავდა  
ჯარებში გამეფებულს დისციპლინაში. რა არის ჯარი? ესაა  
გაწვრთნილი, წესიერების სასტიკი დამცველი მეომრები.  
ბრბოს არ შეუძლიან ბრძოლა. ბრბო წესიერებას არ იტანს.  
იქ ყველა ბატონია და ამსრულებელი კი არავინ, სადაც წე-  
სიერება არაა, იქ საქმის მოგებაც არ შეიძლება, ეს იცოდა  
სპარტაკმა. ამიტომაც თავის რაზმს რომეღ სამხედრო წეს-

რიგით დაუწყო წვრთნა. ყოველ დღე რამოდენიმე საათს რომეღ სამხედრო ვარჯიშობას აწდომებდა. ამის გარდა სპარტაკი სიკვდილით დასჯას ემუქრებოდა მას, ვინც ვაჭბე-დავდა ავაზაკობას, თავდასხმას, ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკებას. ამით სპარტაკმა ორ მიზანს მიადღწია, ერთი ის, რომ გარშემო სოფელ—ქალაქებმა დაინახა, რომ აჯანყებულნი ყაჩაღები აღარ იყვნენ, არამედ ნამდვილი მამულიშვილები, რომელთაც მოქმედებას წმინდა აზრი აქვს სარჩულათ; მეორე კიდევ ის იყო, რომ ამით აღზარდა გლადიატორები, შთააგონა პატიოსნება, ღირსება, ადამიანობა. ეხლა გლადიატორებს უკვე ესმოდათ, რომ ველურ გულის თქმას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, როდესაც ისეთ დროშის ქვეშ გამოვიდნენ, რომლის თეთრ სხივებით მოქარგული იყო უზენაეს მათ იდეალების მნახველი შემეცნება— „სამშობლო და თავისუფლება“.

სპარტაკის მიერ ასეთ დისციპლინის შემოღებამ მეტათ კარგი ნაყოფი გამოიღო. აჯანყებულ მონებს ეხლა აღარ უფრთხოდნენ. მწყემსებსა და ტყის მცველთა შორის საზოგადო სიყვარული მოიხვეჭა. ესენი დროზე ატყობინებდნენ მას, თუ რომელ მხრით მოდიოდა მოწინააღმდეგე, რამდენი კაცისაგან შესდგებოდა მისი ჯარი, რითი იყვნენ შეიარაღებულნი, სად ჰქონდათ სურსათი და სხვა. ამნაირათ სპარტაკი უკვე მზათ იყო ბრძოლისთვის, მაგრამ ისიც იცოდა, რომ გაშლილ მინდორში შეუძლებელი იყო კლავდიუსს შებრძოლებოდა. კლავდიუს იმის გარდა, რომ ჯარები რიცხვით მეტი ჰყავდა, ვიდრე სპარტაკსა კიდევ ის უპირატესობა ჰქონდა ბრძოლის მოსაგებათ, რომ ბრძოლის გეგმა ოდნავათ არ შეუცვლია სპარტაკს, ისევ მწვერვალზე იყო გამაგრებული. ამას გარდა პირველი მარცხის გაკვეთილიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ სპარტაკს სულ სხვა ხერხით შეჭბრძოლებოდა და აეძულებინა გაშლილ ველზე გამოსულიყო. ამ მიზნით კლავდიუსმა პირდაპირ იერიში კი არ მიიტანა,—ეს მეტის მეტი თავხედობა იქნებოდა,—არამედ არხეინად დაბანაკ-

და გამოსავალ კარში და დაუწყო ლოდინი. მან კარგათ იცოდა, რომ სპარტაკს არც იმდენი სურსათი ექნებოდა, რომ დიდხანს შესძლებოდა ალყის შემორტყმა აეტანა. შიმშილი დიდი ბატონია და მის ბრძანებას ყველა თანაბრათ ემორჩილება. რაწამს სურსათი გამოეღეოდა,—მაშინვე უნდა თავგანწირულებისთვის მიემართნა, პირდაპირ მწვერვალიდან დაშვებულიყო და გაშლილ ველზე გმირულათ დაღუპულიყო. აი, ამ მიზნით გამოცდილმა კლავდიუსმა გამოსავალი ჩაუკეთა. ჯარი ორ ნაწილათ გაჰყო. მთავარი ძალით თვითონ გაიქრდა აქ, პირველ კარში, მხოლო მეორე ნაწილი ჩააყენა მთის მეორე კალთაზე, უფსკრულის ძირთან, საიდანაც მაინცა და მაინც მწვერვალიდან ჩამოსვლის იმედი არ უნდა ჰქონოდა: ეს სპარტაკისთვის, დიახაც, სისულელე იქნებოდა, უგუნური სიმამაცე, რომელიც ყოველთვის დამსხვევით თავდება.

როდესაც მახეში გაბმულათ დაინახეს თავი, გლადიატორები დიდათ შეწუხდნენ. საგონებელს მიცემულნი აღარ იმღერდნენ, ფრთები დაეყარნათ და, შესაძლებელია, გულში რამე ბოროტს იძრახდნენ კეთილშობილ წინამძღოლისადმი. თვით სპარტაკის შუბლიც აღარ ბრწყინავდა გადაშლილი. ისიც მეგობართა მწუხარებას იკლავდა გულში და ამაოდ ცდილობდა გამოენახა გამოსავალი გზა. მისმა ნათელმა გონებამ ვერარა სანუგეშო ვერ აღმოაჩინა. მოხერხებულ მოწინააღმდეგის ხაფანგში თავს მწარეთ ჰგრძნობდა და უკვე დაბლობიდან მოესმოდა ყიჟინა.

მაგრამ სასოწარკვეთილებამ ხშირად იცის უცნაურ ნახტომებით კამარის ვაკეთება. ერთს მშვენიერ დღეს სპარტაკმა ბანაკს შემოუარა. მიუვალ კლდეებიდან უფსკრულის მეორე ნაპირს გადაჰხედა მოდღესასწაულე რომაელებს. უეცრივ მან შეამჩნია რამდენიმე გლადიატორი, რომელნიც დაბეჯითებით თელის ტოტებიდან და ქერქიდან ფარებსა სწნავდნენ თავიანთვის და ამხანაგებისთვის. ამ სანახაობამ სპარტაკს სახე გაუბრწყინა.

— მეშველა... მე ვისხნი ჩემს ძმებს,—ჯერ კადევ

მთლათ არ დავღუბულვართ! გაივლო გულში. რა ახარებდა სპარტაკს? მკვირცხლი მოსაზრება. იმავე თელის კანიდან შეიძლება უზარმაზარი კიბის მოქსოვა. ამ კიბეს კლდიდან გადასტყორცნიდენ და უფსკრულის ძირამდის ჩაჰკიდებდენ. შემდეგ სათითაოდ შეიძლება დათ ჩასვლა და გაპარვა, მტრის ხაფანგისგან დასხლეტა.

როდესაც ეს აზრი გაუზიარა სპარტაკმა ამხანაგებს ყველამ უნუგეშოთ ჩაიღიმა. დასცინეს კიდევ.

— შეუძლებელია! დაღუბულნი ვართ... ველარაფერსაც ვერ გავხდებით! ეუბნებოდენ აქეთ იქით:—სულ სათითაოდ ამოგვწყვეტენ!... დასძენდენ მეორენი. მაგრამ სპარტაკის გარდაწყვეტილება მტკიცე იყო. მისმა ბეჯითმა სიტყვამ მალე ყველანი დააჯერა:

— რახანც ვერვა, ვცადოთ...

— დავაწყოთ, დავაწყოთ...

ამ სიტყვებზე ათასი ხელი ამუშავდა, ყველანი გაფაციცებით შეუდგნენ წნელების და აქედან კიბის კეთებას. მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ უკვე მზათ იყო უზარმაზარი კიბე.

— პირველათ მე ვცდი! თქვა სპარტაკმა შეღამებისას... კვლავ რომაელთა ბანაკს გადახედა: ჩამი-ჩუმი არც კი ისმოდა. წინასწარ მოდღესასწაულე რომაელებს სიმთვრალემ დასძალა, ყველა გულის ძილს მისცემოდა. ძირს ჩასვლა წილის ყრით მოხდა. ათ-ათი კაცი ჩაეშვა დაბლა, ჯერ სპარტაკი, შემდეგ მისი რჩეული ამხანაგები, მასთან ჭირში და ლხინში განუყრელი თანამგზავნი. უფსკრულის პირიდან მშვიდობით ჩასვლის ნიშანი რომ მისცეს მაღლა მყოფთ, ყველამ სიხარულის ყიჟინა მორთო. ნელ-ნელა შეუჩერებლივ ჩადიოდენ და აჰა, სულ უკანასკნელიც მათთან არის. სპარტაკს სიხარულით დაუწყეს კოცნა. პატიოსნებამ, ვაჟკაცობამ და გონიერებამ სძლია უძნელესი უფსკრული, განაღო ეჭვი შეიძლება წინამძღვრის კეთილშობილ მოწოდებაში? და აი, მის განკარგულების თანხმათ ყველა დალაგდა. სპარტაკმა იგი

ორ ნაწილათ გაჰყო და ერთსა და იმავე დროს მოულოდ-  
ნელათ თავს დაატყდა მძინარე რომელებს, რომელთაც  
უზრუნველათ ფარხმალი აეყარათ და ყურმძიმეთ ხვრინვა  
გაჰქონდათ. შურის ძიებამ, ველურმა აღფრთოვანებამ სას-  
ტიკათ გაანადგურა რომელებსა ორთავე ბანაკი. ვერც კი  
მოასწრეს გაქცევა, ისე ამოიხოცენ გლადიატორთა მახვილით.

აუარებელი დავლა, მშვენიერი რომაული იარაღი, დრო-  
შები, სურსათი და კარვები, ისე შერჩათ გლადიატორებს,  
რომ არც კი არავინ დაჰკლებიათ. განა გასაკვირველი იქნე-  
ბოდა, თუ სადღესასწაულოთ ცეკვას და ყიჟინას მოჰყვე-  
ბოდენ! სპარტაკის გარშემო მოჰყვენ ქება-დიდებით სიმღერების  
თხზვას. ისინი მასში ხედავდენ რაღაც ზღაპრულ ადამიანს,  
რომელიც მამებისაგან უხსოვარ ისტორიის დამამშვენებელ  
გმირათ წარმოედგინათ.

— ეგ—იუპიტერის შვილია! ამბობდენ ერთნი.

— მარსმა თავის მუზარადი დაადგა თურმე, როცა და-  
ბადებულა კურთხეულ მშობლისაგან.

თუ ასე აღიდებდენ თავიანთ მხსნელს, თუმას ღმერთობა  
მიაწერეს, სამაგიეროთ დაცინვას არ აკლებდენ ოდესღაც  
ძღვევამოსილობით თავ-გასულს რომელებს.

წავიდენ, სენატს მოახსენონ, რომ მათი უძღვევლობის  
ფარხმალი პირველათ ჩვენს შამფურების წვერზე დაიმსხვრა.

გლადიატორებს, მართლაც, ბევრი რამ ჰქონდათ საამა-  
ყო: პირველი მათი უდიდესი იარაღი ხომ მხოლოდ ორთი-  
თი და შამფური იყო!

(შემდეგი იქნება)

დ კასრაძე.



# გვანი ლელაშია.

წყლის სამგვარი მდგომარეობა (სახე).



სუყველა თქვენგანს უნახავს რასაკვირ-  
ველია წყალი, ყინული და ორთქლი.  
ისიც იცით რომ წყალი, როცა გაიყი-  
ნება, იქცევა ყინულათ და თუ აადუ-  
ღეთ—ორთქლათ. რომ ეს თქვენ სარ-  
წმუნოთ არ იცოდეთ, მაშინ უთუოდ  
არც კი დაიჯერებდით რომ წყალი,  
ყინული და ორთქლი ერთი და იგი-  
ვეა და ერთსა და იმავე დროს ასე  
ცოტათი გვანან ერთმანეთს.

ზაფხულში თქვენ ხედავთ წყალს  
ყველგან: პაწია გუბებში წვიმის შემდეგ, მდინარეებში და  
ტბებში. თვალუწვდენელი ზღვები და ოკეანეები ხომ მთლათ  
ავსილია წყლით. წყალი დედამიწაზე გაცილებით მეტია  
ვიდრე ხმელეთი.

რას წარმოადგენს წყალი? წყალი წარმოადგენს სითხეს.  
სითხე კი ეწოდება ყველა იმგვარ ნივთიერებას, რომლის გა-  
დასხმ-გადმოსხმა შეიძლება. მაგალითად: რძე, ძმარი, ნავთი,  
სამარხო ზეთი და ბევრა სხვა. ავიღოთ ლიტრით წყალი და  
დავასხათ ტაშტზედ. წყალი დავა თუ არა ტაშტზედ მაშინათ-  
ვე მიიღებს ტაშტის ძირის მოყვანილობას. ჩაასხამთ ფინჯან-  
ში და იგივე მოხდება, ჩაასხამთ კვადრატულ ყუთში —იქაც  
ისე, მიიღებს უთუოდ ყუთის მოყვანილობას, ერთი სიტყვით.  
წყალი იქნება თუ სხვა რამ სითხე, ყოველთვის მიიღებს იმ  
ფორმას, ანუ მოყვანილობას, რა ფორმისა. ანუ მოყვანილო-

ბისა არის ქურქელი, რომელშიაც მას ჩაასხამთ.

მაგარ სხეულებს, მაგალითათ ქვას, ხეს კი ეს ასე არ ემართებათ. ისინი, რაშიაც არ უნდა მოათავსოთ მაინც არ შესცვლიან თავიანთ სახეს.

მიუბრუნდეთ ჩვენ რომ წელან ტასტში წყალი ჩავასხით, გაუკეთოდ მას ნახვრეტი ფსკერში ან გვერდზე, შემდეგ ჩავასხათ წყალი. ჩვენ დავინახავთ რომ წყალი იმ წუთშივე გავა ნახვრეტიდან.

მაგარ სხეულებს ეს რასაკვირველია თავისდღეში არ ემართებათ თუ რომ ნახვრეტი ისე დიდი არ არის რომ მთელათ არ გავარდა შიგ.

არა მარტო წყალი შეიძლება იყოს ხან სითხეთ, თხელ ნივთიერებათ და ხან მაგარ სხეულათ. აი მაგალითად ტყვია ხომ მაგარი ნივთიერებაა, მარა თუ ძალზედ, გაახურეთ მაშინ იგი დადნება, იქცევა სითხეთ.

წყალი რომ გაათბოთ ორთქლათ იქცევა ეს თქვენ არა თუ ხშირათ, ყოველ დღეც კი გენახებათ. აი მაგალითად როგორ რგოლებათ ადის ორთქლი მოჩუხჩუხე სამოვარიდან ჩაედნიდან. და სწორეთ ეს ორთქლია რომ შესდგება პაწაწკინა წყლის წვეთებიდან. ეს წყლის წვეთები ადვილი დასანახავი არ არის, თუნდ რომ თავახდილ ქვაბში მოკვარჩხალე წყალს დააცქერდე.

როდესაც ორთქლი ადუღებული ქვაბიდან აიწვევს ზევით, ცივ ჰაერში—მაშინ პაწა წვეთები იკუმშებიან, ერთმანეთს უერთდებიან და მიიღებენ პატარ-პატარა ღრუბლების სახეს. მაშინ კი. რასაკვირველია ადვილია მათი დანახვა და მაშინაა რომ ქვაბს ადგია თეთრი ნისლი ანუ ღრუბელი ისე როგორც ცაშია გაფანტული ბამბის ქულასავით შორეული თეთრი ღრუბლები.

ორთქლის შემადგენლობის ყველა ნაწილი, რომელიც ადის ქვაბიდან, მეტის-მეტათ ცხელია; სიცხისგან ისინი განივრდებიან, მჩატდებიან და ღონივრათ აწვეებიან ერთი მეორეს და საშინელის სისწრაფით მიილტვიან ზევით—ჰაერში.

ამიტომაცაა რომ ჩაედანში დუდილისაგან წარმომდგარი ორ-  
თქლი ველარ ეტევა, აწვება სახურავს, ასწევს და ამოდის  
ზევით. ამოვა ორთქლი და სახურავიც დაეშვება. კიდევ შეი-  
კრიბება დუდილისაგან ორთქლი და კიდევ ისე, როგორც  
პირველათ—ამოჰქრის ჩაედანის აწეული სახურავიდან.

რომ როგორმე ჩვენ აღუღებული წყლის ორთქლი დაე-  
ხშოთ ისე რომ გასასვლელი არსაით ჰქონდეს მაშინ ორ-  
თქლის ძალას შეუძლია გახეთქოს ძალიან მაგარი ქვაბიც. გო-  
ნიერებით აღსავსე ადამიანმა მალე შეამჩნია ორთქლის ასეთი  
ძალა და გამოიყენა კიდევ: ორთქლის ძალა მან დაი-  
მორჩილა, მოამწყვდია მატარებლის უზარ-მაზარ ქვაბში და  
გააქროლებინა ბევრისაგან ბევრი დატვირთული ვაგონების  
ბორბლები. ორთქლითვე სამუშაო ადამიანმა აგრეთვე ურიც-  
ხვი და უთვალავი ქარხნების მანქანები, ააბრუნებინა წის-  
ქვილები.

ორთქლათ შგვვიძლია ვაქცოთ წყლის გარდა ზოგიერთი  
სხვა სითხე და მაგარი სხეულებიც. აი მაგალითად: თუ აღუ-  
ღეთ დიდხანს რძე, ის აორთქლდება და ამოშრება იმ ქურჭ-  
ლიდან, რომელშიაც ის დუღს. ეხლა ჩვენ ვცადოთ და და-  
ვადნოთ ტყვია, რომელიც ითხოვს განსაკუთრებით დიდ  
სიმზურვალეს. ის ჯერ გადიქცევა სითხეთ და შემდეგ კი  
აორთქლდება.

არა მარტო წყალი შეიძლება ვაქციოთ მაგარ სხეუ-  
ლათ, შესაძლოა სხვანივთიერებაც; აი თუნდა ერბოროცა ტა-  
ფაზეა და ცეცხლზედ დგას იგი სითხეს წარმოადგენს, როცა  
გადმოდგმენ—იგი გრილდება და ხდება მაგარ სხეულათ. გა-  
გვეგონებათ უთუოდ ისიც რომ რძე როცა გაიყინება იქცევა  
მაგარ სხეულათ. აგრეთვე ვერცხლის წყალი, რომლის წვე-  
თიც თქვენ გინახავთ ტერმომეტრში. არის ქვეყნიერებაზედ  
ისეთი ადგილები, საცა ეს ვერცხლის წყალიც კი იყინება  
და იქცევა რკინასავით მაგარ სხეულათ

**კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო.**

დასახელო წყალი ორ თაბაბაზედ არაა მათიანი და



დგით ფანჯარაზე, მეორე კი ღუმელის მახლობლათ და დაიხსომეთ რომელ ლამბიქზე უფრო მალე დასრება წყალი.

ჩაასხით ბოთლში წყალი ნაკლებათ და გადგით გარეთ ყინვაში. დაიხსომეთ როცა გაიყინოს წყალი რამდენზედ იქნება: მეტი თუ ნაკლები იმაზე რაც წყალს ეჭირა?

ჩაუშვით ყინულის ნატეხი წყალში და დაუკვირდით: ჩაიძირება იგი თუ ამოტივტივდე ბაზევით. მაშ რა უფრო მძიმე ყოფილა, წყალი თუ ყინული?

რა მოუვიდოდა მდინარეებს ზამთარში, თუ რომ ყინული უფრო მძიმე იყოს წყალზე?

დაასახელეთ რა და რა ნივთიერება იცით თქვენ თხელი, ან მაგარი?

რითი განირჩევა მაგარი სხეული თხელი ნივთიერებისაგან?

სცადეთ რამე მაგარი ნივთიერების ჯერ სითხეთ გადაქცევა და შემდეგ კი ორთქლათ.

შესაძლოა ხე გადაიქცეს ორთქლათ? შაქარი? წებო? რისაგან შესდგება პაწია ბუშტები, რომელიც ამოდის ადუღებული ქვაბის ძირიდან?

დაასახელეთ რომელიმე მაგარი სხეული, რომელიც დნება?

### საიდან წარმოსდგა წყალი ნაკადულებსა და რუხებში?

ღლე და ღამ ჩამოჩხრიალებს ქვებზედ პაწია ანკარა ნაკადული. არც დაიღლება იგი თავის ღლეში, არც შეჩერდება; სულ ერთავათ მოლოუკლოუკებს და რაღაც სასიამოვნო და საიდუმლო ზღაპარს ურაკრაკებს არე მარეს. საიდან მოდის, ან საით მიეშურება ამ პაწია ნაკადულის პაწია ტალღები.

თუ გინდათ გაიგოთ მისი ამბავი, შეეკითხეთ წვიმის წვეთებს: წვიმის წვეთები როცა დასდის დედამიწას, წამოვა პატარა ნაკადულებათ.

ეს პატარა ნაკადულები ერთი მეორეს უერთდებიან და იქცევიან მოზრდილ რუებათ.

საიდან წარმოსდგა წვიმის წვეთები?

მოწმენდილ ცას წვიმა არ სდის, იგი სდის მხოლოდ იმ ტყვიის ფერ ღრუბლებს, რომელნიც ისე ხშირათ ჰფარვენ მოკრიალებულ მოლურჯო ფერის ცის კამარას, საიდან ჩნდებიან ეს ხანდის ხან ბამბის ქულასავით თეთრი, ცის დამამშვენებელი ღრუბლები და ხან კი ისე პირქუში, ტყვიის ფერი, მოშაო საწვიმარი ღრუბლები?

აი საიდან: წყალი ადის ჰაერში ორთქლის სახით მდინარეებიდან, წყაროებიდან, ქაობებიდან, გასაშრობათ გაკიდებული თეთრეულიდგან და ბევრი სხვა რამისაგან რაშიაც კი წყალი მოიპოვება. ყველაზე მეტი ორთქლი ასდის მომჯადოებელ ანკარა ზღვებს და ოკეანებს. ყველა ეს ორთქლი იკრებება მალა, ძალიან მალა ჰაერში.

მაგრამ განა ჩვენ კი დარწმუნებული ვართ რომ ეს ორთქლი აორთქლილი წყალია?

ამის გასაგებათ ჩვენ შეგვიძლია გავფინოთ გარეთ სველი სარეცხი. არ გავა სულ რამოდენიმე საათი რომ თეთრეული სრულიად გაშრება. აქედან ცხადია, რომ რაც მასში წყალი (სისველე) იყო ის აორთქლდა, ჰაერში ავიდა—მეტო წასასვლელი გზა მას არსაით ჰქონდა.

ესლა ხომ ჩვენთვის საექვო აღარ არის, რომ რაც თეთრეულში წყალი იყო, ის უთუოდ აორთქლდა, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენ ეს ვერ დავინახეთ და ამიტომაც, რასაკვირველია, ძნელი დასაჯერებელი შეიქნა ეს ჩვენთვის. რომ ამაში ჩვენ დავრწმუნდეთ, მოდით ერთ საღამოს ეამს, როცა ჰაერი უფრო გრილია გაფჩრდეთ მდინარის პირას; მაშინ ცოტა რამეს შევიტყობთ ამის შესახებ. მივდივით დაგვარწმუნებს რომ ეს მართლაც ასეა, რომ წყალი მართლაც ორთქლდება, თუარა ისე შეუქცობელია ცაში ღრუბლების გაჩენა და შემდეგ წვიმის მოსვლა.

(შემდეგი იქნება).

ელ. ჭიჭინაძე.